



This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the [Institute for the Study of the Ancient World Library](#) in partnership with the [Georgian National Museum](#).

- Creator: Lortkipanidze, M. | ლორთქიფანიძე, მ. | Лорткипанидзе, М. Н.
- Title: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები ტომი IV | Геммы Государственного Музея Грузии том IV
- Publication Date: 1967
- Publisher: Georgian National Academy Of Sciences, Georgian National Museum
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dsc_990ffa25aa

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.



საქართველოს
სახელმწიფო
მუზეუმის
ტემები

IV

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ



1967

М. Н. Лордкипанидзе

Геммы Государственного
музея Грузии

IV
Каталог

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“
ТБИЛИСИ
1967

XV
317(4)

მ. ლორთქიფანიძე

საქართველოს სახელმწიფო
მუსეუმის გეგმები

IV

კატალოგი

5074/1

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1967



73 (C 41)
736+069 (47 . 922): 737
ლ 852

ნაშრომი წარმოადგენს სისტემატიკურ კატალოგს, რომელშიც განხილულია კერძო პირთაგან შექმნილი კოლექციები და შემთხვევით შემოსული გემები.

კატალოგში შესულია 95 გლიპტიკური ძეგლი. მხატვრული და შედარებითი ანალიზის შედეგად მასალა დაჯგუფებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობითა და წარმოშობის მიხედვით.

კატალოგი ხელს შეუწყობს მუზეუმში დაცული გლიპტიკური ძეგლების ფართო გამოყენებას სამეცნიერო მიზნებისათვის, იგი დახმარებას გაუწევს: ხელოვნებათმცოდნეებს, არქეოლოგებს, ისტორიკოსებს, სტუდენტებსა და მუზეუმის მუშაკებს.

შესავალი

საქართველოს მუზეუმი გლიპტიკური ძეგლების მეტად საინტერესო და მრავალფეროვან კოლექციებს ფლობს. ამ ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებია, რომლებიც ჩვენ სპეციალურად განვიხილეთ შემდეგ შრომებში: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I; სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი 1940—41 და 1946—48 წწ., თბილისი, 1954; II, არმაზისხევსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, თბილისი, 1958; III, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების კატალოგი, თბილისი, 1961. 1938—39 წწ. სამთავროში აღმოჩენილი გემები მ. მაქსიმოვამ გამოაქვეყნა შრომაში—Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро (раскопки 1938/39 гг.), საქართველოს მუზეუმის მოამბე XVI-B, თბ., 1950.

წინამდებარე ნაშრომში, რომელიც სისტემატიკურ კატალოგს წარმოადგენს, შესულია მუზეუმში დაცული, კერძო პირთაგან შეძენილი კოლექციები (სახელდობრ, ორი დიდი კოლექცია მილკევიჩისეული¹ და ო. დავიდოვასეული)², აგრეთვე შემთხვევით შეძენილი გემები, რომლებიც მუზეუმში 1957 წლამდე შემოვიდა.

ზემოხსენებული მასალების ძირითადი ნაწილი პირველად ქვეყნდება. რაც შეეხება მილკევიჩისეულ კოლექციას, იგი გამოსცა

¹ მილკევიჩისეული კოლექციიდან კატალოგში მხოლოდ ნაწილი—ანტიკური წარმოშობისა და ხანის ძეგლები გვაქვს განხილული. აღსანიშნავია, რომ ამ კოლექციაში კარგად არის წარმოდგენილი აქემენიდური ეპოქის შემდეგდროინდელი ე. წ. სასანური და სასანური გემები.

² მხატვარ ო. დავიდოვას კოლექცია შეძენილია ქ. მოსკოვში 1956 წელს, იგი მთლიანად არის კატალოგში შესული და პირველად ქვეყნდება.

ა. ზახაროვა (Gemmen und Siegeln des Museums Georgiens, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, V, თბ., 1930) მოკლე აღწერილობის სახით.

ა. ზახაროვის აღწერილობის მეთოდი და მასალის კლასიფიკაცია დღეისათვის მოძველებულია. ამას გარდა, ავტორს გემების შინაარსის გარკვევაში მთელი რიგი შეცდომები აქვს დაშვებული. გემების დათარიღება გაურკვეველია.

ზემოხსენებულის გამო, მიზანშეწონილად მივიჩნით აღნიშნული მასალის გამოცემაც.

კატალოგში განხილული გემები, ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, უბასპორტო მასალებს წარმოადგენს (რაც საგრძნობლად აძნელებდა მათ დამუშავებას). ჩვენს კვლევას ძირითადად საფუძვლად დაედო შედარებითი ანალიზი. ამ მხრივ მასალის განსაზღვრა, სახელდობრ გვიანანტიკური ძეგლებისა, ძალიან გაგვიადვილა მცხეთაში, კერძოდ სამთავროში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ გლიბტიკური მასალების გამოყენებამ³. ნაშრომში გემები დაჯგუფებული გვაქვს ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა და წარმოშობის მიხედვით.

გემების დათარიღებისას ჩვენ ძირითადად ვეყრდნობოდით გამოხატულების სტილისტურ ანალიზსა და ამოჭრის თავისებურებას. იმ შემთხვევაში, როცა ინტალიო ბუდეშია ხოლმე ჩასმული, მხედველობაში გვაქვს მიღებული ბეჭდის ფორმაც—მისი ანალიზი.

ნაშრომში განხილული გემები ძირითადად რომაული სახელოსნოებიდან გამოსული გვიანანტიკური ხანის ძეგლებია და მათი უმრავლესობა ახ. წ. II—III სს. მიეკუთვნება.

მასალებს შორის ერთეულების სახით წარმოდგენილია მცირეაზიული სკარაბეოიდები ძვ. წ. V—IV სს., ოთხიოდე ელინისტური ინტალიო, ერთი იტალიკური ინტალიო, ე. წ. მაგიური გემები და XVIII—XIX სს. რამდენიმე ჭრილა ქვა, რომელთა წარმოშობის შესახებ ზოგად მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ისინი ჩვენთვის უცნობი ევროპული სახელოსნოებიდან გამოსული ნახელავია.

³ ფართოდ გვაქვს გამოყენებული აგრეთვე უცხოურ მუზეუმებში დაცული გამოქვეყნებული მასალები და სახელმწიფო ერმიტაჟისა და სახვითი ხელოვნების მუზეუმის გლიბტიკური კოლექციები.

ჩვენი კატალოგის ჭრილა ქვების ერთი ნაწილი, სახელდობრ, ო. დავიდოვასეული კოლექციიდან, მის ყოფილ მფლობელს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთზე შეუძენია და გადმოცემის მიხედვით იქვეა მოპოვებული. რამდენიმე გემა (№№ 14, 15, 16, 17), რომელიც ერთ ოქროს მანიაკში შედიოდა, სოხუმშია აღმოჩენილი⁴.

გვიან რომაული გემები როგორც შინაარსობრივად, ასევე მხატვრული ოსტატობისა და შესრულების მხრივ რომსა და მის პერიფერიებზე ფართოდ გავრცელებულ ძეგლებს იმეორებს და მცირე გამოჩაჩისის გარდა იმ რიგის მასალებს შეადგენს, რომლებიც, როგორც ჩანს, ფართო ფენების მოხმარებისათვის იყო განკუთვნილი. ანაბეჭდებზე მიღებული გამოხატულებების მიხედვით ვასკვნით, რომ მათი უმრავლესობა საბეჭდავებად იყო გამოყენებული, თუმცა ბუდე და ბეჭედი წარმოდგენილ მასალებში უმნიშვნელო რაოდენობითაა შემორჩენილი.

მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ფერის სარდიონები—წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მოვარდისფრო; ქალცედონი—თაფლისფერი, „რძისფერი“ და ე. წ. საფირინი; ლუქისებრი იასპი და მწვანე, წითელწინწკლებიანი პელიოტროპი; ზურმუხტის პლაზმა, ამეთვისტო და გრანატი.

თემატიკის მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს ის ჭრილა ქვები შეადგენს, რომლებზედაც ბერძნულ-რომაული მითოლოგიური ღვთაებები და გმირებია გამოსახული. ასეთებია: ზევსი, ფორტუნა, ათენა, არესი, ნიკე, ჰერმესი, ეროტი, სემელე, ჰიგიეია, ჰერაკლე და ა. შ., გარდა ამისა—გრილოსი და კენტავრი; ერთეულების სახით წარმოდგენილია—გარნელის, არწივის, ჭიანჭველასა და სხვათა გამოხატულებები.

იტალიკური ინტალიო, როგორც ჩანს, ბეჭდის თვლად ყოფილა გამოყენებული, იისფერი მინისაა (№ 9). ინტალიოს ბრტყელ პირზე სამხრეთ იტალიის, სახელდობრ, ძვ. წ. III-I სს. იტალიკურ გლიბტიკაში გავრცელებული მისტიკური სიუჟეტია ასახული—ჰერმეს-ფსიქოპომპოსს (სულთა წინამძღოლს) იმიერ ქვეყნიდან გარდაცვლილის აჩრდილი ჰყავს გამოძახებული⁵.

⁴ სოხუმში მოპოვებული გემები შრომაში გამოჩაჩისის სახით გვაქვს შეტანილი, ვინაიდან ჩვენ ო. დავიდოვასეულ კოლექციას მთლიანად ვაქვეყნებთ.

⁵ ჰერმეს-ფსიქოპომპოსის კულტის გავრცელების შესახებ იხ. ჩვენი სტატია—ანტიკური ხანის გემები მცხეთაში აღმოჩენილ ბავშვის სამარხიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, XVI-B, თბ., 1950.

სტილისტური თავისებურების მიხედვით შემოხსენებული ინტალიო ინტალიკური გლიპტიკის არქაიზირებულ ჯგუფს მიეკუთვნება. ნახელავს გარკვეული ხელოსნების დალი ადევს, რაც ხსენებული მიმდინარეობისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება-თავანია.

გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიული კრილა ქვები კატალოგში ორი ნიმუშით არის წარმოდგენილი. ერთი, ელალაიანცის მიერ 1905 წელს სევანის ტბასთან აღმოჩენილი, ქალცედონის სკარაბეოიდა⁶ მსრბოლი დათვის გამონატულებით (№ 2). მეორე—უზადო ოპალის ასეთივე საბეჭდავია (№ 1) ჯიხვებზე ნადირობის სცენით⁷.

ხიფთავით შემოსილი მხედარი მონადირე მოკლე შუბით ნადირობს—იარაღი მარჯვენა ხელში მოუმარჯვებია. შარვალი მაღალყელიან ფეხსაცმელში აქვს ჩატანებული, წოწოლა თავსაბურავი ახურავს. ერთი ჯიხვი მონადირეს დაუჭრია, იგი ცხენის ფეხით გდია; მეორე, რომელსაც კვლავ მისდევს, ყალყზეა შემდგარი.

გამონატულება საკმაოდ უსიციოცხლო და სქემატურია. შინაგანი ნახატი დაუმუშავებელია. ფიგურების მოდელირება ზოგად ფორმებშია მოცემული და ძირითადად სილუეტის ჩაღრმავებით იფარგლება. ხსენებული თავისებურებანი ადგილობრივი — მცირეაზიული გლიპტიკისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო აქედან გამომდინარე ჩვენ ვასკვნით, რომ ოპალის სკარაბეოიდი ადგილობრივი — მცირეაზიული ნახელავია.

ელინისტურ ინტალიოებს შორის (№№ 4,5) ოთხთავან ორი იპყრობს ყურადღებას, სახელდობრ ელინისტური გლიპტიკისათვის ტიპიური ფორმის ოვალურ-ამობურცული მინის ჩამონასხამი, დიდი ზომის კაბოშონი, დაჭრილი მეომარის გამონატულებით. გამონატულება რელიეფური და ზედმიწევნით პლასტიკურია.

ინტალიო იმდენად მაღალია, რომ იგი ალბათ აგრაფის ან სხვა რამ მსგავსი სამკაულის შესამკობად იყო განკუთვნილი.

ელინისტური გლიპტიკის ბრწყინვალე ნიმუშს ოვალურ-ამობურცული ნარინჯისფერი სარდიონის ინტალიო წარმოადგენს, რომე-

⁶ სკარაბეოიდი გამოცემულია. იხ. ს. ბარნაველი, ორი გემისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის „შოამბე“, VI, № 7, 1945, გვ. 574—575.

⁷ ნივთის ყოფილი მფლობელის გადმოცემით სკარაბეოიდი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთზეა მოპოვებული, საბეჭდავი პირველად ქვეყნდება.

ლიც ოქროს საკინძის შესამკობად არის გამოყენებული (მოპოვებულია შჩედრინსკაიაში, იხ. კატალოგი, გვ. 14).

გემაზე გრძელი კვართით შემოსილი ფრინველი ქალის გამოხატულებაა ამოჭრილი. იგი სვეტს ეყრდნობა. იმის გამო, რომ ქვა ამობურცულია და ზედმიწევნით პოლირებული, შესანიშნავ ფერთა თამაშს იძლევა. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ კვეთა ერთსა და იმავე დროს ღრმაც არის და ზოგან ბრტყელიც.

რაც შეეხება დანარჩენ ინტალიოებს, ისინი არაღრმაა (მცირე ჩაღრმავებით) და ბრტყელი კვეთითაა შესრულებული.

ე. წ. მაგიური გემების ჯგუფში გაერთიანებულია სფერული ფორმის სამი ჭრილა აქატი (№№ 82—84) და ბექდის თვლად გამზადებული ბრტყელი სარდიონის ერთი ფრაგმენტი (№ 85).

ყველა შემოხსენებულ ქვას ჩვენ ავგაროზებად, სახელდობრ, აბრაზაქსებად მივიჩნევთ (სამ ავგაროზზე, უაღრესად პირობითად, ხელ-ფეხ გაშლილი ადამიანის ფიგურაა ამოჭრილი, მეოთხეზე—ი. იხ. აღწერილობა, კატალოგი, გვ. 69).

აბრაზაქსებად წოდებული ავგაროზები, როგორც გნოსტიციზმის რელიგიური ძეგლები, იმპერიის პირველი საუკუნეებიდანვე ჩნდება. მათი გამოყენება უმთავრესად, თუ უფრო ფართოდ, ალექსანდრიელი ერესიარქის ბასილიდეს (ახ. წ. II საუკ. ცხოვრობდა) შემდეგ იწყება⁸.

ცნობილი მკვლევარი კ. ბონერი თვლის, რომ ე. წ. გნოსტიკური ამულეტების უმრავლესობა ბერძნულ-ეგვიპტური მაგიის რელიქვიებს წარმოადგენენ⁹.

ჩვენის ვარაუდით საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში დაცული ხსენებული ავგაროზები, აბრაზაქსების შედარებით გვიანდელ ჯგუფს მიეკუთვნებიან, სახელდობრ ახ. წ. III—IV სს.

სამი სფერიული აბრაზაქსის (№№ 82—84) კვეთა ზედმიწევნით ხაზოვანი და ზედაპირულია. ნახატი მშრალი სქემის სახითაა წარმოდგენილი და ამდენად მათი სადაურობის გარკვევა ჭირს¹⁰.

⁸ აღნიშნული თეორია C. Bonner-მა წამოაყენა. იხ. მისი შრომა—Studies in magical amulets chiefly greaco-egyptian, The University of Michigan—Press, 1950.

⁹ C. Boner, Magical amulets.

¹⁰ ზუსტად ანალოგიური აბრაზაქსები დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, ისინი გამოცემული აქვს ა. ზახაროვს (იხ. Геммы и античные перстни Государственного Исторического Музея, РАНИОН, В. 3. М., 1930). ავტორს

ერთი კი უდავოა, რომ მხატვრული თვალსაზრისით ისინი ქვაზე ამოჭრის ხელოვნების დაცემის ხანას განეკუთვნებიან და განყენებულ ჯგუფს შეადგენენ, რომელთა წარმოების ცენტრებისა თუ ცენტრის დადგენისათვის ჯერჯერობით მცირე მასალა გაგვაჩნია.

არა აქვს გარკვეული, სახელდობრ რასთან აქვს საქმე—„წარწერის კვალია თუ გამოხატულებისა“ (იხ. გვ. 7, №№ 15, 16, 17). მიუხედავად ამისა, იგი მათ გამოყოფს ჯგუფში—„Ванские или малоазийские“. რაც შეეხება ზემოხსენებულ ქვებს, ა. ზახაროვმა ისინი საქართველოს მუზეუმის „მოამბეში“ გამოაქვეყნა (იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 243) და ამ გემების გამოხატულებებს „ბუნდოვან ნახატებად“ მიიჩნევს და „ძველი აღმოსავლეთის“ ჯგუფში ათავსებს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ განსვენებულმა ე. პახომოვმა ანალოგიური გამოხატულებები, ბაჭოს ისტორიულ მუზეუმში დაცულ კრილა ქვებზე, „გაურკვეველ გამოხატულებებად“ მიიჩნია, რომლებიც „არ იკითხება“ (იხ. Е. А. Пахомов, Об одном загадочном типе Кавказских резных камней, известия АЗФАН'а, № 5, 1944).

ჩვენ ა. ზახაროვისა და ე. პახომოვის განსაზღვრებს არ ვიზიარებთ (იხ. კატალოგი, გვ. 26).

1. მცირეაზიური გემები ბვინანაქემენილური ხანისა

1 (იხვ. 929).

ჭრილა სკარაბეოიდი ღია ფერის ობალისა, გამჭვირვალე.

საბეჭდავს პირი ოვალური და ბრტყელი აქვს, ამობურცული ზურგი, ქვაში გაკეთებულია ნახვრეტი ზონრისათვის. პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი მკაფიოდაა გამოკვეთილი.

პირზე მხედარი-მონადირის ჯიხვებზე ნადირობის სცენაა გამოხატული; ყველა ფიგურა პროფილში მარცხნივ არის მოცემული.

მაღალი თავსაბურავითა და ხიფთანით შემოსილი მონადირე ზურგში დაჭრილ ჯიხვს მისდევს. მონადირე მოკლე შუბით ნადირობს. იარაღი მარჯვენა ხელში კვლავ მოუმარჯვებია და ხელმეორედ უნდა სტყორცნოს ყალყზე შემდგარ ჯიხვს, რომელიც გადახტომას აპირებს.

მეორე ჯიხვი, ასევე ზურგში დაჭრილი, მიწაზეა წაქცეული. მონადირეს მოკლე წამოსასხამი უნდა ჰქონდეს წამოსხმული, შარვალი მაღალყელიან ფეხსაცმელში აქვს ჩატანებული. გამოხატულება სუმარულად არის შესრულებული, ამდენად ცალკეული დეტალები არ გაირჩევა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და საკმაოდ ტლანქად. კვეთა სქემატურობით ხასიათდება. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

მსგავსი გამოხატულებები იხ. ბერძნულ-სპარსულ გემებზე A. Furtwängler, Die antiken Gemmen, Leipzig, 1900, ტაბ. 11, 4,6,8; A. Furtwängler, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, Berlin, 1896, ტაბ. 4,184.

დაცულობა: ქვა კარგად არის შენახული.

ზომა: პირის სიგრძე—20 მმ, განი—17 მმ, ნახვრ. დიამ.—2 მმ.
ძვ. წ. V—IV საუკ. ადგილობრივი მცირეაზიული (მოპოვებულია ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთზე).

2 (იხვ. № 628).

ჭრილა სკარაბეოიდი, მოციხფრო-ნაცრისფერი ქალცედონისა, ზოგან მოყვითალო ფერი გადაჰკრავს¹¹.

საბეჭდავს პირი ოვალური და ბრტყელი აქვს, ზურგი ამობურცული, ქვაში გაკეთებულია ნახვრეტი ზონრისათვის. პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი საკმაოდ მაღალია.

პირზე გამოხატულია მსრბოლი დათვი, პროფილში მარცხნივ. ყურები დათვს კოხტა მოყვანილობისა აქვს. თვალს გამოხატავს რელიეფური წერტილი, დრუნჩი ფაქიზადაა დამუშავებული; ძალიან მოკლე კუდი მკაფიოდ არის გამოხატული.

დათვს მთელი სხეული ბალნით აქვს დაფარული. ბალანი მოკლე-მოკლე ხაზებითაა აღნიშნული. გრძელი ბრჭყალები მკვეთრად ჩანს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და მკაფიოდ. მეტად ფაქიზი და წმინდა ნახელავია. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

მსგავსი გამოხატულებები იხ. A. Furtwängler, Die antiken Gemmen, Leipzig, 1900, ტაბ. II, 7 (სტილისტური მსგავსება); შდრ. აგრეთვე ტახის გამოხატულებას, ტაბ. 12, 7.

დაცულობა: პირი რამდენიმე ადგილას ატკეცილია; ზურგი „დაკეჭნილია“.

ზომა: სიმაღლე—12 მმ, პირის სიგრძე—23 მმ, განი—20 მმ, ძვ. წ. V—IV საუკ.

3 (იხვ. № 814).

საბეჭდავი-ბეჭედი, ბრინჯაოსი.

¹¹ საბეჭდავი გამოცემული აქვს ს. ბარნაველს, იხ. „ორი გემისათვის“, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, VI, № 7, 1945, გვ. 56.

ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი პირი აქვს, ოდნავ ამობურცული ზურგი¹².

ინტალიო ვიწრო, ქვევითკენ ჩამოგრძელებულ რკალში გადადის. რკალი ინტალიოსაგან მკვეთრად არის გამოყოფილი. წვრილ რკალს მკრთალი წახნაგები დაჰყვება.

პირზე გამოხატულია ცხენი, პროფილში მარცხნივ, მიმავალი. ცხენი თავდახრილია; მაღალი ფაფარი სქემატურადაა გამოხატული. თავი სუმარულადაა შესრულებული. გრძელი ძუა ძირს აქვს ჩამოვებული.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. არაღრმა და ბრტყელი კვეთით არის შესრულებული.

ბეჭდის ფორმა შდრ. F. Marshall, Catalogue of the finger rings greek, etruscan and roman, London, 1911.

დაცულობა: ბეჭედი ორად არის გატეხილი, რკალს ნაწილი აკლია. ლითონს პატინა აქვს გადაკრული.

ზომა: ბეჭდის დიამ.—16 მმ; ინტალიოს სიგრძე—20 მმ.

ძვ. წ. V—IV საუკ. (მოპოვებულია კლშჩაში).

2. ელინისტური

4 (ინგ. 742).

ინტალიო ლურჯი მინისა, ნახევრად გამჭვირვალე; ოვალურ-ამობურცულია, მაღალი.

პირზე დაჭრილი მეომარია გამოხატული, პროფილში მარჯვნივ. იგი მიწაზეა დავარდნილი. ახალგაზრდა მეომარი მარცხენა ხელით მიწას ებჯინება, წამოდგომას აპირებს. მის ფეხთით ფარი გდია, ზურგს უკან, მარცხნივ შუბი ჩანს.

მეომარს მოკლედ შეჭრილი ხვეული თმა აქვს, კობტა მოყვანილობის თავი, ფაქიზად გადმოცემული სახის ნაკვთები. ლამაზი აღნაგობის სხეული კუნთებითაა დაფარული. დაჭრილი პატროკლე უნდა იყოს.

ინტალიო ჩამოსხმულია, გამოხატულების დასამუშავებლად სა-

¹² იხ. ა. ზახაროვი, ტაბ. IV, 147.

კრისებია გამოყენებული, ფაქიზი და ზუსტი კვეთით არის შესრულებული.

სტილი შდრ. A. Furtwängler, Gemmen, ტაბ. XXXV, 3, 5.

დაცულობა: მინა ირიზებულია, ამის გამო გამოხატულება ერთგვარად დაიბინდა.

ზომა: სიგრძე—22 მმ, განი—16 მმ, სიმაღლე—7 მმ.

5 (იხვ. 650).

ინტალიო ნარინჯისფერი სარდიონისა, ოქროს საკინძს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს.

პირზე გრძელი, უსახელო კვართით შემოსილი ქალის ფიგურაა გამოხატული. სხეული პირდაპირ არის მოცემული, თავი—პროფილში მარჯვნივ.

ქალს მარჯვენა ხელში ფრინველი უჭირავს, მარცხენათი სვეტს ეყრდნობა, მარჯვენა ფეხით ებჯინება მიწას.

ფრინველიან მანდილოსანს კეფაზე ჩახვეული ღრმა ტალღებად დატეხილი თმის ვარცხნილობა აქვს, შუბლზე ვიწრო ბაბთით გადაჭერილი. გულ-მკერდსა და მხრებზე კვართი ღრმადაა ამოჭრილი, წელზე ვიწრო სარტყელი არტყია; თეძოებზე ქლამიდა აქვს შემოხვეული ისე, რომ ფეხებს მთლიანად უფარავს. ქსოვილი ღრმა ნაკეცებით არის გადმოცემული.

შდრ: G. Richter, Catalogue of engraved gems, Roma, 1956, ტაბ. XXVI, 155, 156 b; სტილისტურად შდრ. Walters, Catalogue of the engraved gems, London, 1926, ტაბ. XVII, 1146.

ბუდე ღია ყვითელი ფერის ფურცლოვანი ოქროსგან არის გაკეთებული. კბილანებიანი ბუდის ნაპირებს, რომელიც თვალს მჭიდროდ ეკვრის, ოქროსავე სირმა აქვს დარჩილული. ბუდის ძირი ბრტყელია; ზურგზე ორი ყუნწია—შესაკრავია.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, მხატვრული კვეთითაა შესრულებული; წმინდა და ფაქიზი ნახელავია. ქვას კრიალა პოლირება აქვს გაკეთებული.

დაცულობა: ქვა კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—34 მმ, განი—22 მმ, საკინძის სიგრძე—36 მმ.

ძვ. წ. III საუკ. (მოპოვებულია სტანიცა შჩედრინსკაიაში, ჩერნიშევის ყორღანიდან).

6 (ინგ. № 749).

საბეჭდავი—ბეჭდის ფრაგმენტი, ბრინჯაოსი.

ოვალური მოყვანილობის ინტალიო ვიწრო ბეჭდის რკალში გადადის (ამჟამად რკალისაგან უმნიშვნელო ნაწილია დარჩენილი). ინტალიო—ბეჭდის ფარაკი ბრტყელია, ოღნავ შესამჩნევად ჩადრეკილი ზურგით.

პირზე მოქანდაკე უნდა იყოს გამოხატული, პროფილში მარჯვნივ. მოქანდაკე სკამზე ზის, მხრებში არის მოხრილი. თავის მხლოდ მკრთალი კონტურია შემორჩენილი. იგი ჰიმატიონით უნდა იყოს შემოსილი. მოქანდაკე ქანდაკებაზე მუშაობს, რომელიც თითქოს საყრდენზე უნდა იდგეს.

რა ხერხით არის ინტალიო გაკეთებული, ძნელი გასარკვევია იმის გამო, რომ ლითონი პატინამ დააზიანა და გამოხატულება ბუნდოვნად ჩანს.

შდრ. G. Richter, Catalogue of the engraved gems, New York, 1920, ტაბ. 32, 118 (სტილისტურად განსხვავებული უნდა იყოს); Walters, Catalogue of the engraved gems and cameos, London, 1926, ტაბ. XXXII, 3298.

დაცულობა: ბეჭდისაგან დარჩენილია მხოლოდ ინტალიო—ბეჭდის ფარი და რკალის უმნიშვნელო ნაწილი.

ზომა: ინტალიოს სიგრძე—15 მმ.

განვითარებული ბერძნული სტილი. ძვ. წ. V საუკ. ბოლო IV საუკ. დასაწყისი.

7 (ინგ. № 750).

საბეჭდავი—ბეჭედი, ბრინჯაოსი.

ოვალური მოყვანილობის ფართო ინტალიო ვიწრო რკალში გადადის. რკალს მკრთალწახნაგიანი ზედაპირი აქვს, შებრტყელებ-

ბული შიდაპირი. ბეჭდის ფარაკი საკმაოდ სქელია, ზურგი ოდნავ ჩადრეკილი და წახნაგებიანი აქვს.

პირზე გამოხატულია ქალის თავი, პროფილში მარჯვნივ. სახის ნაკვეთების გარჩევა შეუძლებელი ხდება იმის გამო, რომ ლითონი, სახელდობრ, ინტალიოს ზედაპირი დაზიანებულია. ქალს თმა თავის ირგვლივ აქვს ჩახვეული, ხოლო კეფაზე ჩაშლილი უნდა ჰქონდეს. თავზე სადა დიადემა თუ ბაბთა აქვს შემოკრული. შესაკრავის ბოლოები ძირსაა ჩაშვებული.

შდრ. G. Richter, Gems, II გამოცემა, ტაბ. XXV, 149.

იმის გამო, რომ ლითონი პატინამ დააზიანა, ძნელი დასადგენი ხდება თუ რა ხერხით არის გაკეთებული საბეჭდავი.

დაცულობა: ლითონი პატინით არის დაფარული. ინტალიოს ზედაპირი ადგილ-ადგილ „ამოკმულია“.

ზომა: ბეჭდის დიამ.—17 მმ, ინტალიოს სიგრძე—23 მმ.

სტილის მიხედვით ძვ. წ. III საუკ.

8 (ინვ. № 158). M.

ინტალიო, სარდიონისებრი მინისა, მოყავისფრო-ნარინჯისფერი. ინტალიო ოთხკუთხა და ბრტყელია; კუთხეები მომრგვალებული აქვს.

პირზე გამოხატულია ცხენი¹³, პროფილში მარჯვნივ, ცხენის გვერდით ქალი დგას, პროფილში მარცხნივ. ქალს თავი არ უჩანს (წატეხილია), წელს ზევით ტიტველია; თეძოებსა და ფეხებზე ქლამიდა აქვს შემოხვეული. ქალს წინ გაწვდილ ხელებში მშვილდი უჭირავს.

ქალს ლამაზი აღნაგობის სხეული აქვს, პროპორციები განსაკუთრებული სიზუსტით არის დაცული. ასეთივე სიფაქიზით არის შესრულებული ცხენი.

გამოხატულება მკრთალად ჩანს იმის გამო, რომ თვალი გაცვეთილია.

ინტალიო ჩამოსხმულია, გამოხატულება არ არის ღრმა, ანაბეჭდზე მკრთალ რელიეფს იძლევა. ჩანს, დედანი არ ყოფილა ღრმად

¹³ იხ. ა. ზახაროვი. იქვე, ტაბ. IV, 133.

ნაკვეთი და ბრტყელი რელიეფით ყოფილა შესრულებული, ძალიან ფაქიზი და ოსტატური ნახელავია. ყალიბიდან ამოდების შემდეგ თვალი კარგად არის შემოკეთებული.

დაცულობა: ინტალიოს ზედა ნაწილი მოტეხილი აქვს ისე, რომ გამოხატულება დაზიანებულია. ერთ ადგილას გაბზარულია.

ზომა: სიგრძე—15 მმ, განი—12 მმ.

3. იტალიკური

147059 (ინვ. № 748).

ინტალიო, იისფერი მინისა. ინტალიო ოვალური მოყვანილო-ბისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ჰერმეს-ფსიქოპომპოსი—სულთა იმიერ ქვეყნად გამძლოლი, პროფილში მარჯვნივ. ჰერმესს ქვესკნელიდან აღამიანი ჰყავს გამოძახებული და სიცოცხლეს უბრუნებს მას. აღამიანის წინ დახრილ ფსიქოპომპოსს მარჯვენა ხელი გარდაცვლილი-სათვის წაუვლია.

გამოხატულება ბუნდოვნად ჩანს იმის გამო, რომ თვალი გაცვეთილია.

ინტალიო ჩამოსხმულია.

შდრ. მ. ლორთქიფანიძე, ანტიკური დროის გემები მცხეთაში აღმოჩენილი ბავშვის სამარხიდან. გვ. 93, სურ. 2 (სტილისტურად განსხვავებულია). უცხოური მასალებიდან იხ. A. Furtwängler, Antiken Gemmen, ტაბ. XXI, 67, 69, 70, 71; A. Furtwängler, Beschreibung..., ტაბ. 8, 440; G. Richter, Engraved gems, ტაბ. 29, 90; H. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XIV, 954; D. Osborn, Engraved gems, New York, 1912, ტაბ. XVIII, 11; G. Lippold, Gemmen und Kameen des Altertums und der Neuzeit, Stuttgart, ტაბ. 10, 4.

დაცულობა: მინა ირიბებულია, გამოხატულება ბუნდოვნად ჩანს.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—10 მმ.

2. მ. ლორთქიფანიძე



4. რომაული

10 (იხვ. № 910). D.

ინტალიო, ფრცხილისა, ორფენიანი, ქვედა ფენა ყავისფერია, ზედა თეთრი.

ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი პირი აქვს, ოდნავ ამობურცული ზურგი. პირის ცენტრალური ნაწილი შემალღებულია, ქვა პირის კიდისაკენ დაქანებულია.

პირზე გამოხატულია კომიკური ნიღაბი, პირდაპირ. ნიღაბი დიონისეს ნიღბების ტიპისაა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად. ოსტატური და ფაქიზი ნახელავია. ქვა გამოხატულებითურთ გაპრიალებულია.

შდრ. A. Furtwängler, Gemmen, ტაბ. XXVI, გამ. 44, 60. S. Reinach, Pierres gravées, Paris, 1895, ტაბ. 22, 456; A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 37, 5218; 5216—5223.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—12 მმ, განი—10 მმ.

ძვ. წ. I—ახ. წ. I სს. მიჯნა.

სტილისტურად ამოჭრის მანერა, შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროში მოპოვებული გემების კატალოგი, თბილისი, 1954, ტაბ. 1, 2.

11 (იხვ. № 933). D.

ინტალიო, წითელი ფერის სარდიონისა.

ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი. პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ნიკე, პროფილში მარჯვნივ. ღვთაებას პირზე გადმოკეცილი პეპლოსი აცვია. სამოსის ნაოჭები საკმაოდ სქემატურადაა გადმოცემული. სწრაფი მოძრაობისგან გაბის კალთა ჰაერში ფრიალებს.

ნიკეს დიდი ფრთა ნახევრად გაშლილი აქვს. ფრთის ნაკრტენი მოკლე-მოკლე ხაზებით არის გადმოცემული. წინ გაწვდილ მარჯვენა

ხელში ღვთაებას ბაბთებიანი გვირგვინი უჭირავს, მარცხენა ხელში პალმის შტო, რომელიც მხარზე აქვს გადებული. ნიადაგის ზოლს სწორი ხაზი გამოხატავს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და მკაფიოდ. ტლანქი ნახელავია. პირი გაპრიალეებულია, გამოხატულება მქრქალია.

შდრ. М. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро (раскопки 1938, 139 гг. ტაბ. 1, 10; Т. Кибальчич, Южно-Русские геммы, Берлин, 1910, ტაბ. IV, 115; G. Richter, Catalogue of gems, ტაბ. 79, 379. H. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XXII, 1705, 1710.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—11 მმ, განი—7 მმ.

ახ. წ. I საუკ.

12 (იხვ. № 867). D.

კამეა, მოწითალო ფერის სარდიონისა.

კამეა ბავშვის თავს გამოხატავს, პირდაპირ. ბავშვს მოგრძო სახე აქვს, მაღალი შუბლი, გრძელი ცხვირი და მკვეთრად გამოხატული პატარა პირი. მოკლენიკაპიანია. შუაზე გაყოფილი თმა დაწნული აქვს. კეფიდან ნაწნავი წინ არის გადმოკეცილი, შუბლამდე წვდება და გაყოფის ხაზს ფარავს. თვალები ბრტყელი, მკვეთრად შემოფარგლული რელიეფითაა გადმოცემული. თმები სქემატურად არის შესრულებული—სწორი ღარებით.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, მაღალი რელიეფით. გაბედული ხელით შესრულებული ნახელავი არ გამოირჩევა სიფაქიზით. ქვა გაპრიალეებულია.

შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, გვ. 9—11, სურ. 3; F. Eichler und E. Kris, Die Rameen im Kunsthistorischen Museum, Wien, 1927, ტაბ. 18, 105, 106, 107; გვ. 91, გამ. 115; H. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XLIV, 3662, 3664; Fossing, Catalogue of engraved gems, Copenhagen, MCMXXIX, ტაბ. XXIV, 1978, 1979.

დაცულობა: კამეა ადგილ-ადგილ ატკეცილია; სისქეში ერთგან ბზარი აქვს.

ზომა: სიგრძე—10 მმ, სიმაღლე—8 მმ.

ახ. წ. I საუკ.

13 (საინვ. № 919). D.

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონისა; ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი ამობურცული წახნაგით.

პირზე გამოხატულია ნიკე, მიფრინავს. თავი პროფილში მარცხნივ აქვს მიბრუნებული; სხეულის ზედა ნაწილი—გულ-მკერდი და ხელები პირდაპირ არის მოცემული, ფეხები პროფილშია. ქალღმერთს თმა თავის ირგვლივ აქვს ჩახვეული. სახე სუმარულად არის შესრულებული—ერთ სიბრტყეშია გადმოცემული.

ნიკეს გრძელი და მრავალნაოჭიანი პეპლოსი აცვია გულ-მკერდთან ვიწრო სარტყელით გადაჭერილი. სწრაფი მოძრაობისაგან პეპლოსის კალთა ჰაერში ფრიალებს. ქსოვილის ნაოჭები სქემატურადაა შესრულებული. ღვთაებას მარჯვენა ხელში ბაბთებით შემკული გვირგვინი უჭირავს, მარცხენა ხელში—პალმის შტო. დიდი ზომის ფრთა მომრგვალებულკონტურიანია.

გამოხატულება დაზგაზნა ამოჭრილი ღრმად და საკმაოდ სქემატურად. გულმოდგინე და სუფთა ნახელავია, რომელიც ოსტატობით არ გამოირჩევა. ქვა გაპრიალებულია. გამოხატულება მქრქალია.

შდრ. H. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XXII, 1709, 1710; A. Furtwängler, Beschreibung., ტაბ. 22, 2447; S. Reinach, Pierres gravées, ტაბ. 64, 69^b; ტაბ. 65, 70¹.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—15 მმ, განი—11 მმ.

ამოჭრის მანერა, სტილი შდრ. M. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро, ტაბ. I, 13, 14; მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემები, ტაბ. I, 4.

ახ. წ. I ს. ბოლო წლები და II ს. დასაწყისი.

14 (იხვ. № 870) D.

ინტალიო, ზურმუხტის პლაზმისა, მუქი მწვანე ფერისა, შავი წინწკლებით სისქეში; ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს, რელიეფური ზურგი.

პირზე გამოხატულია Venus Victrix, პროფილში მარჯვნივ. ღვთაებას მაღალი თმის ვარცხნილობა აქვს, სახე სუმარულადაა გადმოცემული, ცხვირი და პირი პირობითად არის აღნიშნული; კისერს სწორი ხაზი გამოხატავს.

აფროდიტე ტიტველია, ფეხებზე ქსოვილი აქვს შემოხვეული. წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში ქალღმერთს მუზარადი უჭირავს, მარცხენა ხელში შუბი და მაღალ სვეტს ეყრდნობა. აფროდიტეს ფეხთით ფარი დგას. ნიადაგის ზოლს სწორი ხაზი გამოხატავს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და სქემატურად. ტლანქი ნახელავია. ქვა ზედმიწევნით არის გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

G. Richter, Catalogue of gems, ტაბ. 39. 145; H. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XX, 1444; A. Furtwängler, Beschreibung..., ტაბ. 22, 2388—2390; 2392, 2393; D. Osborne, Engraved gems, ტაბ. XXIII, 21; Maffei, Gemme figurate, ტაბ. 4; S. Reinach, Pierres gravées, ტაბ. 35, 72⁴; 72⁵.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—9 მმ.

ახ. წ. I—II საუკ.

15 (იხვ. № 918). D.

ინტალიო, ზურმუხტის პლაზმისა, შავი წინწკლებით სისქეში; ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული.

პირზე გამოხატულია საომარი საჭურვლით შემოსილი ახალგაზრდა მეომარი, პროფილში მარცხნივ. თავზე კორინთული მუზარადი ახურავს, აბჯარი აცვია. სახე სუმარულად არის გადმოცემული, ცხვირი პირობითადაა აღნიშნული.

წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში მეომარს ჩუგლუგი და სატევარი უჭირავს, მარცხენა ხელით შუბს ეყრდნობა; ამავე მკლავზე ფარი

დგას, რომელზედაც მუზარადი დევს. მეომარს ქლამიდა უნდა ჰქონდეს წამოსხმული. ნიადაგის ზოლს მოკლე ხაზი გამოხატავს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი საკმაოდ ღრმად და სუმარულად, ტლანქი ნახელავია. ქვა კარგად არის გათლილი, მკრელს ქვა მკრთალად გაუპრიალეზია.

დაცულობა: ინტალიო სისქეში დაბზარულია.

ზომა: სიგრძე—12 მმ, განი—9 მმ.

ახ. წ. I საუკ. ბოლო და II საუკ. დასაწყისი უნდა იყოს.

16 (ინვ. № 871). D.

ინტალიო, ზურმუხტის პლაზმისა, მუქი მწვანე ფერისა; ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული.

პირზე გამოხატულია მეომარი (?), პროფილში მარჯვნივ. გამოხატულება სუმარულად არის შესრულებული. იდაყვში მოხრილ მარცხენა ხელში მეომარს მუზარადი უჭირავს. მარჯვენა იდაყვით სვეტს ეყრდნობა; ამავე ხელში შუბი და ჩუგლუგი უჭირავს, მკლავზე ქლამიდა უნდა ჰქონდეს დახვეული. მეომრის წინ, ფეხით, ფარი უნდა იყოს გამოხატული. ნიადაგის ზოლი მოკლე ხაზითაა აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და მეტად სქემატურად. ტლანქი ნახელავია. ქვა გამოხატულებითურთ მკრთალად არის გაპრიალეზული.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—10 მმ, განი—7 მმ.

ახ. წ. I საუკ. ბოლო და II საუკ. დასაწყისი უნდა იყოს.

17 (ინვ. № 873). D.

ინტალიო, ზურმუხტის პლაზმისა, მუქი მწვანე ფერისა, შავი წინწკლებით სისქეში; ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული; ზურგი ერთგან ბრტყლადაა წაკვეთილი.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი არესი, პროფილში მარჯვნივ. არესი საომარი საჭურვლით არის შემოსილი, თავზე მუზა-

რადი ახურავს, აბჯარი და თორნი აცვია. ღვთაება ზე აპყრობილი მარცხენა ხელით შუბს ეყრდნობა, იდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელში ჩუგლუგი უჭირავს. ამავე მკლავზე ქლამიდა აქვს დახვეული. არესის ფეხთით, მარჯვნივ, ფარი დგას. ნიადაგის ზოლი მოკლე ხაზით არის აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი. არაღრმად და სქემატურად. ტლანქი ნახელავია. ქვა გაპრიალელებულია გამოხატულებითურთ. შდრ. A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 59, 8264 (მეომარი ზის).

დაცულობა: თვალი სისქეში გაბზარულია.

ზომა: სიგრძე—10 მმ, განი—8 მმ.

ახ. წ. I საუკ. ბოლო და II საუკ. დასაწყისი უნდა იყოს.

18 (იხვ. № 900). D.

ინტალიო, მწვანე ფერისა ჰელიოტროპისა, წითელი წინწყლებით; ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი მკვეთრად დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია გარნელი, პროფილში მარცხნივ, მიცურავს. გარნელს ბოლო მოკეცილი აქვს. თვალი რელიეფური წერტილითაა აღნიშნული. გრძელი უღვაშები ფაქიზადაა გამოყვანილი. ქვედა უღვაშები, ე. წ. პირველი უღვაშები ანუ ანტენულები, ზედა უღვაშებზე—მეორე უღვაშებზე, ანტენებზე, უფრო მოკლეა. ფეხების პირველი სამი წყვილი, სასიარულო ფეხები, მუცლის ფეხებსა და ფეხების უკანასკნელ წყვილთან შედარებით დიდი ზომისაა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად. ფაქიზი და ზედმიწევნით სუფთა ნახელავია. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალელებული, გამოხატულება ოსტატს მქრქალად გაუპრიალელებია.

შდრ. H. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XXVIII, 2515, A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 23, 2526; S. Reinach, Pierres. gravées ტაბ. 52, 21^b.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—12 მმ, განი—8 მმ.

ახ. წ. I საუკ. ბოლო და II საუკ. დასაწყისი უნდა იყოს.

19 (ინვ. № 916). D.

ინტალიო, მუჭი მწვანე ფერის ჰელიოტროპისა, წითელი წინ-
წკლებით.

ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; პირისა და
ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ხვნის პროცესი. სახნისში ორი ხარია
შებმული; მხვენელს მარჯვენა ხელში სახრე აქვს აღებული და ხარებს
მიერეკება. მხვენელი და ხარები პროფილში მარჯვნივ არიან გამოხა-
ტული. ორივე ხარს თავები დახრილი აქვთ, დანაოჭებული სქელი
კისერი; კუნთები მკაფიოდაა გამოხატული. დიდი და მძიმე ჩლიქები
მკვეთრად არის გადმოცემული. ხარებს თითო ეყვანი აქვთ შებმუ-
ლი. დაბალი და სწორი რქები მოკლე ხაზებითაა გადმოცემული.

მხვენელის თავი სუმარულადაა შესრულებული, ცხვირი პირო-
ბითად არის აღნიშნული, სხვა ნაკვთები ერთ სიბრტყეშია გაერთი-
ანებული. ნიადაგის ზოლს გრძელი ხაზი გამოხატავს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად. წმინდა და
ფაქიზი ნახელავია. ზოგიერთი დეტალი სქემატურად არის შესრუ-
ლებული. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება
მჭრქალია.

შდრ. Lippold, Gemmen und Rameen, ტაბ. 57, 7 (სტილის-
ტურად განსხვავდება).

დაცულობა: პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი
ადგილ-ადგილ ატკეცილი.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—10 მმ.

ახ. წ. I საუკ. ბოლო და II საუკ. დასაწყისი უნდა იყოს.

20 (ინვ. № 885).

ინტალიო, მოწითალო ნარინჯისფერი სარდიონისა; ოვალური
მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი.

პირზე გამოხატულია ტიხე-ფორტუნა, პროფილში მარცხნივ
3/4, თავი პროფილშია მოცემული. თმა გვირგვინივით აქვს ჩახვეული

თავის ირგვლივ. სახე სუმარულად არის გადმოცემული—ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული.

ღვთაებას გრძელი, უსახელო და მრავალნაოჭიანი კვართი აცვია, გულმკერდსა და თეძოვებთან ვიწრო სარტყლით გადაჭერილი. სამოსის ნაოჭები ღრმა ღარებით არის გადმოცემული.

ფორტუნას წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში პურის თავთავები და გაუშლელი ყაყაჩოების კონა უჭირავს; ამავე ხელით იგი მის ფეხთით მდგომ საჭეს ეყრდნობა, მარცხენა ხელში—დიდი სიუხვის ყანწი. გრძელი ნიადაგის ზოლი სწორი ხაზით არის აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად. ტლანქი და სქემატური ნახელავია. ქვა გაპრიანებულია, გამოხატულება მჭრქალად არის დატოვებული.

შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. I, 4; М. И. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро, ტაბ. I, 14; A. Furtwängler, Beschreibung..., ტაბ. 54, 7155; G. Richter, Engraved gems, ტაბ. 79, 370.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—11 მმ, განი—10 მმ.

ახ. წ. I საუკ. ბოლო და II საუკ. დასაწყისი.

21 (იხვ. № 912).

ინტალიო, მუქი ყვითელი ფერის სარდიონისა; ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი პირი აქვს, ოდნავ ამობურცული ზურგი.

პირზე გამოხატულია ლოდზე ჩამომჯდარი სილენი, პროფილში მარჯვნივ, თავი პირდაპირ აქვს გამოხატული. სილენის თავს სუროს ფოთლები ამკობს. თვალებს ორი გულამოღებული წერტილი გამოხატავს. იგი ხის წინ ზის. ხის ტოტები დაბლაა დახრილი ისე, რომ სილენი ფოთლებს თავით ეხება. მარჯვენა ხელში სილენს ორმაგი სალამური უჭირავს. ნიადაგის ზოლი გრძელი ხაზითაა აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად. სუფთა და ფაქიზი ნახელავია. ზურგი და გამოხატულების ნაწილი (ხის ტანი, ლოდი, ფეხი და ნაწილობრივ ზურგი) ზედმიწევნით არის გაპრიან-

ლებული. ფონი ოსტატს მკრთალად გაუპრიალებია, გამოხატულება—მქრქალია.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—9 მმ.

22 (ინვ. № 881). D.

ინტალიო, წითელი ფერის სარდიონისა.

ინტალიოს წაკვეთილი კონუსისებრი მოყვანილობა აქვს, საკმაოდ მაღალია, ზურგისკენ ვიწროვდება. პირისა და ზურგის შემადგენელი წახნაგი ცალ მხარეს მცირედ არის დაკუთხული.

პირზე გამოხატულია კრატერი. კრატერის პირზე თუთიყუში ზის, პროფილში მარჯვნივ; ფრინველს გრძელი ბოლო აწეული აქვს. კრატერის ორივე მხარეს, აქეთ-იქით სიუხვის ყანწებია გამოხატული.

გამოხატულება დაზვაზვა ამოჭრილი არაღრმად და მკაფიოდ. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

შდრ. H. Walters, Catalogue of gems, 2662. სტილისტურად შდრ. M. H. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро, ტაბ. I, 17.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—11 მმ, განი—9,5 მმ,

ახ. წ. II საუკ. უნდა იყოს.

23 (ინვ. № 864). D.

ინტალიო, მოყვითალო ქალცედონ-აქატისა, ადგილ-ადგილ რძისფერია.

ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, შეუმჩნევლად ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი. პირისა და ზურგის შემადგენელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია მაღალ ტახტზე მჯდომარე ზევსი, თავი პროფილში მარცხნივ აქვს მიბრუნებული, სხეულის ზედა ნაწილი თითქმის პირდაპირ არის მოცემული.

ღვთაების თავი საკმაოდ სუმარულად არის გადმოცემული. ზევსს მაღალი თმის ვარცხნილობა აქვს. ღვთაება წელს ზევით ტიტველია, გულ-მკერდი კუნთებითაა დაფარული; ფეხები ქლამიდაში

აქვს გახვეული, რომლის ერთი ბოლო მხარზეა გადმოგდებული. ქსოვილი სქემატურადაა შესრულებული.

ზევის წინ გაწვდილ მარჯვენა ხელის გულზე ნიკე დვას გვირგვინით ხელში. ნიკე ძალიან სუმარულად არის შესრულებული. მარცხენა ხელით ზევისი კვერთხს ეყრდნობა. ზევის ფეხით მისი საღმრთო ფრინველი—არწივია გამოხატული. ნიადაგის ზოლი მკვეთრად ჩანს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და მკაფიოდ. გაბედული ხელით შესრულებული ნახელავი არ გამოირჩევა სიტუაციით. ჩანს, მჭრელს ქსოვილის გადმოცემა გასჭირებია. პირი და ზურგი გაპრიალებულია, გამოხატულება მჭრქალია.

შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემები კატალოგი, ტაბ. 1, 10 (ზევის მარჯვენა ხელში თასი უჭირავს); A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 22, 2355.

დაცულობა: პირი ოდნავ გახეხილია.

ზომა: სიგრძე—18 მმ, განი—15 მმ.

ახ. წ. II საუკ. ბოლო წლები.

24 (ინვ. № 888). D.

ინტალიო, საფირინისა. ოვალური მოყვანილობის ინტალიოს ამობურცული პირი აქვს, ასეთივე ზურგი.

პირზე გამოხატულია ტახტზე მჯდომარე ზევისი, პროფილში მარცხნივ. სხეულის ზედა ნაწილი სამი მეოთხედით არის მარცხნივ მიბრუნებული.

ზევის ფეხები და მუხლები ქლამიდაში აქვს გახვეული, ქსოვილის ნაკეცები სქემატურადაა გადმოცემული. ღვთაებას წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში თასი (patera) უჭირავს, ღიბაციას ასრულებს; ზეაპყრობილი მარცხენა ხელით კვერთხს ეყრდნობა. ზევის ფეხით მისი საღმრთო ფრინველი—არწივია გამოხატული. ნიადაგის ზოლი სწორი ხაზით არის აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და მკაფიოდ, არათანაბარი რელიეფით. ქვა გაპრიალებულია, გამოხატულება მჭრქალია.

შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებუ-

ლი გემების კატალოგი, ტაბ. I, 10; უცხოური მასალებიდან: A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 23, 2593; H. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XVIII, 1246; D. Osborne, Engraved gems., ტაბ. XXIII, 19; Lippold, Gemmen und Kameen, ტაბ. 2, 8; Fossing, Catalogue of gems, 528—535.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—12 მმ, განი—9 მმ.

ახ. წ. II საუკ. ბოლო.

25 (ინვ. № 908). D.

ინტალიო, წითელი სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია ფორტუნა პირდაპირ, თავი პროფილში მარცხნივ აქვს მიბრუნებული, თმა გვირგვინივითაა თავის ირგვლივ ჩახვეული. სახე სუმარულადაა გადმოცემული.

ღვთაებას გრძელი და მრავალნაოჭიანი კვართი აცვია, გულმკერდთან წვრილი სარტყლით გადაკერილი. ფორტუნა წინ გაწვდილი მარჯვენა ხელით გუთანს ეყრდნობა; მარცხენა ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს, ამავე მკლავზე დახვეული წამოსასხამი აქვს გადაკიდებული. ნიადავის ზოლი მკრთალად არის აღნიშნული

გამოხატულება თითქმის მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად და საკმაოდ სქემატურად. ნახელავი არ გამოირჩევა სიფაქიზით. ქვა კარგად არის გათლილი და ზედმიწევნით გაპრიალებული, გამოხატულება მჭრქალია.

შდრ. H. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XXIII, 1730; A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 55, 7306.

დაცულობა: პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი, ზოგან ატკეცილია.

ზომა: სიგრძე—10 მმ, განი—8 მმ.

ახ. წ. II საუკ. უნდა იყოს.

26 (ინვ. № 880). D.

ინტალიო, მოწითალო ფერისა სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი მკვეთრადაა დაქანებული.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი ათენა-პალადა, თავი პროფილში მარცხნივ აქვს მიბრუნებული. თავზე კორინთული მუზარადი ახურავს. სახე სუმარულად არის შესრულებული—ცხვირი, პირი, ნიკაპი გაერთიანებულია.

ღვთაებას გრძელი უსახელო პეპლოსი აცვია. გულ-მკერდთან სამოსი წვრილი სარტყლით არის გადაჭერილი. ათენა ზეაპყრობილი მარჯვენა ხელით შუბს ეყრდნობა, მარცხენა ხელში ფარი უჭირავს. ნიადაგის ზოლი სწორი ხაზით არის გამოხატული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და საკმაოდ ბრტყელი რელიეფით. გულმოდგინე და სუფთა ნახელავია, საკმაოდ სქემატურად შესრულებული. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

ზღრ. S. Reinach, Pierres gravées, ტაბ. 31, 62^s.

და ც უ ლ ო ბ ა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზ ო მ ა: სიგრძე — 10 მმ, განი — 7 მმ.

ახ. წ. II საუკ. უნდა იყოს.

27 (ინვ. № 866). D.

ინტალიო, თაფლისფერი ქალცედონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი.

პირზე გამოხატულია ზევსი, დაბალ ტახტზე ზის. ღვთაება სამი მეოთხედით მარჯვნივ არის მიბრუნებული. თავი პროფილში, მარცხნივ არის მოცემული. გამოხატულება საკმაოდ სქემატურადაა შესრულებული, თავი სუმარულადაა გადმოცემული—სახის ნაკვეთები გაერთიანებულია. ღვთაებას მაღალი თმის ვარცხნილობა აქვს.

ზევსი წელს ზევით ტიტველია, ფეხებსა და მუხლებს ქლამიდა უფარავს, ქსოვილის ნაკეციები სქემატურადაა გადმოცემული. წინ

გაწვდილ მარჯვენა ხელში ღვთაებას თასი (patera) უჭირავს; იდაყვში მოხრილი და ზეაპყრობილი მარცხენა ხელით კვერთხს ეყრდნობა. ზევსის ფეხთით მისი საღმრთო ფრინველი—არწივია გამოხატული, რომელსაც თავი ღვთაებისკენ აქვს მიბრუნებული. ნიადაგის ზოლი მკაფიოდაა გამოხატული.

გამოხატულება დაზგაზგა ამოჭრილი არაღრმად და მკაფიოდ. ტლანქი და სქემატური ნახელავია. ქვა კარგად არის გაპრიალებული. გამოხატულება ოსტატს მქრქალად გაუპრიალებია.

შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. I, 10; უცხოური მასალებიდან: D. Osborne, Engraved Gems, ტაბ. XXIII, 19; A. Furtwängers, Beschreibung, ტაბ. 23, 2593; Lippold, Gemmen und Kameen, ტაბ. 2, 8; Fossing, Catalogue of Gems, გამ. 528—535.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—12 მმ, განი—9 მმ.

ახ. წ. II საუკ. ბოლო.

28 (იხვ. № 657). D.

ინტალიო, რძისფერი ქალცედონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა. ბრტყელი პირი აქვს, ამობურცული ზურგი.

პირზე გამოხატულია ტახტზე მჯდომარე ზევსი, პროფილში მარცხნივ. თავი სუმარულად არის შესრულებული—ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული. ცხვირი და პირი ძალიან პირობითად და მკრთალადაა აღნიშნული. ზევსი წელს ზევით ტიტველია; ფეხებზე ქლამიდა აქვს შემოხვეული. ღვთაებას მარჯვენა ხელში ელვა უჭირავს, იდაყვში მოხრილი და ზეაპყრობილი მარჯვენა ხელით კვერთხს ეყრდნობა. ზევსის ფეხთით არწივია გამოხატული, მისი საღმრთო ფრინველი. გრძელი ნიადაგის ზოლი მკვეთრად არის აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზგა ამოჭრილი, მკვეთრად. ტლანქი და სქემატური ნახელავია. პირი გამოხატულებითურთ გაპრიალებულია. ზურგი ოსტატს არ გაუპრიალებია.

შდრ. Walters, Catalogue of Gems, ტაბ. XVIII, 1246 (ზევსს მარჯვენა ხელში patera უჭირავს); სტილისტურად შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალო-

გი, ტაბ. I, 10; უცხოური მასალებიდან: A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 23, 2593; D. Osborne, Engraved gems, ტაბ. XXIII, 19; Lippold, Gemmen und Kameen, ტაბ. 2, 8; Fossing, Catalogue of gems, 528—535.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე--16 მმ, განი--11 მმ.

შდრ. კატალოგის №№ 883 და 866.

ახ. წ. II საუკ. ბოლო.

29 (ინვ. № 868) D.

ინტალიო, მოყვითალო ქალცედონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი მკვეთრადაა დაქანებული.

პირზე გამოხატულია ტახტზე მჯდომარე ზევსი, პროფილში მარცხნივ. თავს ფოთლოვანი გვირგვინი უმკობს. სახე საკმაოდ სუმარულად არის გადმოცემული. ზევსი წელს ზევით ტიტველია, ფეხები და მუხლები ქლამიდაში აქვს გახვეული, რომლის ერთი ბოლო მხარზეა გადმოგდებული.

ზევსს წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში თასი (patera) უჭირავს და ლიბაციას ასრულებს. მარცხენა ხელით კვერთხს ჭყრდნობა. ზევსის ფეხთით მისი საღმრთო ფრინველი—არწივია გამოხატული; გრძელი ნიადაგის ზოლი სწორი ხაზითაა აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად და მკაფიოდ. იგრძნობა ოსტატის მტკიცე და ქვაზე ამოჭრას დაუფლებული ხელი. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული, გამოხატულება ოსტატს მქრქალად დაუტოვებია.

შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. I, 10; უცხოური მასალებიდან: A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 23, 2593; Walters, Catalogue of gems, ტაბ. XVIII, 1246; Osborn, Engraved gems, ტაბ. XXIII, 19; Lippold, Gemmen und Kameen, ტაბ. 2, 8; Fossing, Catalogue of gems, ვამ. 528—535.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—12 მმ, განი—10 მმ.
ახ. წ. II საუკ. ბოლო წლები.

30 (იხვ. № 891). D.

ინტალიო, ყვითელი ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია საომარი საჭურვლით შემოსილი არესი ნახევრად მარჯვნივ მიბრუნებული; თავი პროფილში მარცხნივ აქვს გამოხატული.

გამოხატულება სუმარულად არის შესრულებული, განსაკუთრებით თავი. თავი და მუზარადი ერთ სიბრტყეშია მოცემული.

არესი მარჯვენა ხელით შუბს ეყრდნობა, მარცხენა მკლავზე ფარი აქვს დამაგრებული, იმავე იდაყვით სვეტს (?) ეყრდნობა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და ბრტყელი რელიეფით. ტლანქი ნახელავია. ქვა გაპრიანებულია, გამოხატულება მქრქალია.

შდრ. М. И. Максимова, Геммы из некрополя Мичеты—Самтавро, ტაბ. I, 20, აგრეთვე 33.

დაცულობა: ინტალიო სისქეში გაბზარულია, ცერად. ქვას აქა-იქ ანატკეცები აქვს.

ზომა: სიგრძე—10 მმ, განი—7 მმ.

ამოჭრის მანერის მიხედვით ახ. წ. II საუკ. უნდა იყოს.

31 (იხვ. № 898). D.

ინტალიო, მოწითალო სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი წიბოიანი აქვს.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი დემეტრა (?), პროფილში მარცხნივ. თავი სუმარულად აქვს შესრულებული. წინ გაწვდილ

მარჯვენა ხელში პურის თავთავები უჭირავს, ზეაპყრობილი მარცხენა ხელით კვერთხს ეყრდნობა.

ღვთაებას გრძელი უსახელო და მრავალნაოჭიანი კვართი აცვია. ქსოვილის ნაკეციები ძალიან სქემატურად—სწორი ხაზებით არის გადმოცემული. თეძოებსა და, ნაწილობრივ, ფეხებზე წამოსასხამი აქვს შემოხვეული, რომლის ერთი ბოლო მხარზეა გადმოგდებული. ნიადაგის ზოლს სწორი ხაზი გამოხატავს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და სქემატურად. ტლანქი ნახელავია. ქვა მქრქალად არის გაპრიალებული.

შდრ. М. И. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро, ტაბ. I, 13.

დაცულობა: ინტალიო ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ზომა: სიგრძე—12 მმ, განი—10 მმ.

ახ. წ. II საუკ. ბოლო წლები უნდა იყოს.

32 (იხვ. № 879). D.

ინტალიო, მოწითალო სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი ოდნავ დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ეროტი, პროფილში მარჯვნივ. თმა თავის ირგვლივ აქვს ჩახვეული გვირგვინივით და კეფასთან თითქოს ბლუჯად არის შეკრული.

ზეაპყრობილ მარცხენა ხელში ეროტს პეპელა უჭირავს და აწვალებს; მარჯვენა ხელში—ანთებული ჩირაღდანი. ეროსის ფეხთით დაბალი სამსხვერპლო დგას, რომელზედაც ცეცხლი ანთია. ნიადაგის ზოლს რელიეფური ხაზი აღნიშნავს.

შდრ. S. Reinach, Pierres gravées ტაბ. 38, 80^b (კომპოზიციაში მცირე განსხვავებაა). A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 17, 1649; შდრ. აგრეთვე სტილი, ამოჭრის მანერა—ეროტებს ტაბ. 22, 2395a; 1627; 1638; 1603 (სხვადასხვა კომპოზიცია).

დაცულობა: ქვა კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—12 მმ, განი—11 მმ.

ახ. წ. II საუკ. უნდა იყოს.

33 (იხვ. № 896).

ინტალიო, წითელი სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი, პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი მკვეთრადაა დაქანებული.

პირზე გამოხატულია ახალგაზრდა მეომარი, პროფილში მარჯვნივ, თავი სუმარულადაა შესრულებული. მეომარს ქლამიდა აქვს წამოსხმული. მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს და ამავე მხარზეა გადებული. წინ გაწვდილ მარცხენა ხელში—მუზარადი. მუზარადი ატიკურია. ნიადაგს საკმაო გრძელი ხაზი გამოხატავს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და სქემატურად. ტლანჭი ნახელავია. ქვა გამოხატულებითურთ გაპრიალებულია შდრ. S. Reinach, Pierres gravées, ტაბ. 63, 63^b; ტაბ. 65 66^b; ტაბ. 63, 65^b; A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 59, 8257.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—12 მმ, განი—10 მმ.

ამოჭრის მანერის მიხედვით ახ. წ. III ს. უნდა იყოს.

34 (იხვ. № 899).

ინტალიო, თაფლისფერი ქალცედონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული.

პირზე გამოხატულია მამალი, რომელიც წაქცეულ ჭურჭელზე—კრატერზე დგას, პროფილში მარჯვნივ. ჭურჭელში პურის თავთავებია.

მამლის წინ გამოხატულია დიდი ზომის სიუხვის ყანწი, რომლის პირზე ფრინველი ზის. ფრინველი სუმარულად არის შესრულებული, ამიტომ ძნელი გასარკვევია რომელ ოჯახს ეკუთვნის.

სიუხვის ყანწის გვერდით, მარცხნივ, გამოხატულია caduceus-ი, საკმაოდ სუმარულად.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად და სქემატურად. გულმოდგინე და სუფთა ნახელავია. ქვა გაპრიალებულია, გამოხატულება მქრქალია.

შდრ. A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 58, 7902; ტაბ. 60, 8359 (კომპოზიციაში განსხვავება).

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა; სიგრძე—11 მმ, განი—10 მმ.

ახ. წ. II საუკ. უნდა იყოს.

35 (იხვ. № 884). D.

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს, ასეთივე ზურგი.

პირზე გამოხატულია მწყემსი, რომელიც თხას წველის, პროფილში მარჯვნივ. მწყემსი ლოდზეა ჩამომჯდარი; ზურგს უკან, მიწაში მწყემსის კომბალია ჩარჭობილი.

გამოხატულება ძალიან სუმარულად არის შესრულებული, ცალკეული დეტალების გარჩევა ჭირს. ნიადაგის გრძელი ზოლი წმინდა ღარით არის აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და სქემატურად. ტლანქი ნახელავია. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

შდრ. G. Richter, Engaved gems, ტაბ. 80, 396.

დაცულობა: ზურგი სისქეში გაბზარულია.

ზომა: სიგრძე—14 მმ, განი—11 მმ.

ამოჭრის მანერისა და სტილის მიხედვით გემა ახ. წ. II საუკ. თარიღდება.

36 (იხვ. № 920). D.

ინტალიო, წითელი სარდიონისა, სისქეში შავი წინწკლები აქვს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული და ამობურცულია.

პირზე გამოხატულია ეროტი ეტლში, პროფილში მარჯვნივ. ეტლს ორი ცხენი ჰყავს შებმული. ეროტი ძალიან სუმარულად არის

შესრულებული; პატარა ფრთა აქვს. გრძელი სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში ღვთაებას მათრახი უჭირავს, მარცხენა ხელით აღვირი.

ცხენები ოთხით მიდიან. ცხენებს მაღალი, სქემატურად შესრულებული ფაფარი აქვთ, თავები სუმარულადაა გადმოცემული. გულ-მკერდი მოკლე ღარებითაა დასერილი. ცხენებს ჩლიქები მკაფიოდ აქვს გამოხატული.

გამოხატულება დაზვაზვა ამოჭრილი, ღრმად და საკმაოდ სქემატურად. გულმოდგინე და სუფთა ნახელავია. ნამუშევარი არ გამოირჩევა სიფაქიზით. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული, გამოხატულება მჭრქალია.

შდრ. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XXIII, 1723, 1724. H. Carnegie, Catalogue of gems, ტაბ. V, D. 16; A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 60, 8445 (ეროტი კვადრივას მართავს); სტილისტურად და ამოჭრის მანერა შდრ. A. Furtwängler, იქვე, ტაბ. 60, 8413 (ნიკა ბივას მართავს).

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—15 მმ, განი—11 მმ.

ახ. წ. II ს. უნდა იყოს.

37 (იხვ. № 914). D.

ინტალიო, წითელი ფერის იასპისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ჰელიოსი ეტლში, რომელსაც ოთხი ცხენი ჰყავს შებმული, პირდაპირ. ჰელიოსი ნახევრად მარცხნივ არის მიბრუნებული. სხივებით შემკული თავი პროფილში, მარჯვნივ აქვს გამოხატული. ჰელიოსი ტიტველია; მარჯვენა მკლავზე დახვეული წამოსასხამი აქვს გადაკიდებული, ამავე ხელში მათრახი უჭირავს. წინ გაწვდილ მარცხენა ხელში—გვირგვინი.

პერსპექტივაში ეტლის გადმოცემა მჭრელს, როგორც ჩანს, გაუძნელდა და ამიტომ ორი ცხენი მარჯვნივ გამოხატა, მეორე წყვილი კი მარცხნივ. ცხენები ოთხით მიდიან. ცხენებს დაბალი ფაფარი აქვთ, ძირს დაშვებული გრძელი ძუა. ჩლიქები მკაფიოდაა გამოხატული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ დრმად, ერთგვარად სქემატურ ხასიათს ატარებს. გულმოდგინე და სუფთა ნახელავია, სიფაქიზეს მოკლებული. ქვა გამოხატულებითურთ გაპრიალეებულია.

შდრ. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XXII, 1661; G. Richter, Catalogue of gems, ტაბ. 77, 351; A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 24, 2666; 2669; D. Osborne, Engraved gems, ტაბ. XXVII; H. Carnegie, Catalogue of Gems, v. I, ტაბ. IV, 1 (სტილისტურად განსხვავდება).

დაცულობა: ინტალიოს ნაპირები ჩამოტეხილი აქვს ისე რომ გამოხატულება დაზიანებულია.

ზომა: სიგრძე—21 მმ, განი—15 მმ.

ახ. წ. II საუკ. ბოლო წლები.

38 (ინვ. № 656). D.

ინტალიო წითელი სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, პირი ოდნავ ამობურცული აქვს, ზურგი ბრტყელი, ზურგისკენ ფართოვდება; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი მკვეთრად არის დაქანებული.

პირზე გამოხატულია მამალი, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი. მამალს მაღალი ბიბილო აქვს, მკვეთრად გამოხატული ნისკარტი, მაღალფეხებიანია. ნაკრტენს ოდნავ შესამჩნევი ხაზები გამოხატავს; გრძელი და ფართო ბოლო საკმაოდ მაღალი რელიეფითაა გადმოცემული. მოკლე ნიადაგის ზოლი სწორი ხაზითაა აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არადრმად და მკვეთრად. ტლანქი ნახელავია. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალეებული. გამოხატულება ოსტატს მქრქალად დაუტოვებია.

შდრ. T. Кибальнич, Южно-русские геммы, Берлин, 1910, ტაბ. XI, 353.

დაცულობა: ზურგი ერთ ადგილას ამოტეხილია. ინტალიოს სისქეში რამდენიმე ბზარი აქვს.

ზომა: სიგრძე—10 მმ, განი 8 მმ.

ახ. წ. II საუკ. უნდა იყოს.

ინტალიო, მოწითალო სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია ზეზე მღვომი არტემიდა (ან სელენე?), პირდაპირ; თავი პროფილში მარცხნივ არის მოცემული.

ღვთაება პეპლოსით არის შემოსილი; თავი სუმარულად აქვს გადმოცემული, სახის ნაკვთები გაერთიანებულია. ქალღმერთს თმა თავის ირგვლივ უნდა ჰქონდეს ჩახვეული. სელენეს ძირს დაშვებულ მარცხენა ხელში ჩამქრალი ჩირაღდანი უჭირავს; მარჯვენა ხელი წინ აქვს გაწვდილი.

თავის ზემოთ ვიწრო მანდილი აქვს გადაგდებული. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მანდილი ღვთაების მხრებზეა დამაგრებული, ქალღმერთის მარცხენა ხელთან, მარჯვენა მუხლთან და თავს ზემოთ თითო მნათობია გამოხატული.

ინტალიოზე რამდენიმე ლათინური ასოა ამოჭრილი (ქვაზე პირდაპირ იკითხება): „R“—მარჯვენა მხარის გასწვრივ „C“—მუხლების გასწვრივ „V“—ფეხებს ქვემოთ და „I“ მარცხენა ხელთან.

ინტალიო დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და სქემატურად, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. ტლანქი ნახელავია. ასოები კარგად არის ამოჭრილი. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

შდრ. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XIX, 1335; A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 24, 2827.

დაცულობა: ქვა კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—10 მმ, განი—7 მმ.

ინტალიო წითელი სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი, პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი არესი, პირდაპირ. არესი საომარი საჭურვლით არის შემოსილი. თავი პროფილში მარცხნივ აქვს მიბრუნებული.

არესს თავზე მუზარადი ახურავს, მოკლე კვართი აცვია, გულ-მკერდს აბჯარი უფარავს; ფეხებსა და მკლავებზე თორნი აცვია. ღვთაება ზეაპყრობილი მარჯვენა ხელით შუბს ეყრდნობა, ძირს დაშვებულ მარცხენა ხელში ფარი უჭირავს. ნიადაგის ზოლი სწორი ხაზითაა აღნიშნული.

პირის კიდესა და გამოხატულებას შორის, მარცხენა მხარეს ამოჭრილია ორი ბერძნული ასო—„I“ და „P“, მარჯვენა მხარეს—„O“.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და სქემატურად. საკმაოდ ტლანქი ნახელავია, ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიანებული, გამოხატულება და წარწერა მქრქალია.

შდრ. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XX, 1426; A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 59, 8168.

დაცულია: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—13, განი—11 მმ.

41 (იხვ. № 911). D.

ინტალიო, წითელი ფერის იასპისა, ე. წ. ლუქისებრი იასპი. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია გრილოსი, პროფილში მარჯვნივ. ცხენის თავკისერი შეერთებულია მამლის სხეულთან, სახელდობრ, ბოლო და ფეხები აქვს მამლისა. ცხენის გულ-მკერდის ადგილას წვერიანი მელოტი კაცის თავია გამოხატული, რომელიც უშუალოდ გადადის ცხვრის თავში. ცხვრის თავი პროფილში მარცხნივ არის გამოხატული. ცხვარსა და ადამიანს კეფა კეფაზე აქვს მიდებული. გრილოსის უკან, ცერად ჰერმესის კვერთხია გამოხატული. ნიადაგის ზოლი სწორი ხაზითაა აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და ბრტყელი რელიეფით. წმინდა და ფაქიზი ნახელავია. ქვა მკრთალად არის გაპრიანებული, ჩანს ოსტატს გამოხატულება საგანგებოდ ჰქონია გაპრიანებული.

შდრ. H. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XXIX, 2574, 2575, 2576 (კომბინაციაში განსხვავებაა); G. Richter, Catalogue of gems, ტაბ. 68, 274 (კომპოზიციაში განსხვავებაა); Т. Кибальчич, Южно-русские геммы, ტაბ. VIII, 251.

დაცულობა: პირი გახეხილია მცირედ.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—9 მმ.

42 (იხვ. № 902).

ინტალიო, ნარინჯისფერი სარდიონისა. ქვა გამჭვირვალეა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია გრილოსი, პროფილში მარჯვნივ.—სირაქლემას ტანი შეერთებულია ცხენის თავ-კისერთან. ცხენის თავ-კისერი უშუალოდ გადადის მელოტი, წვერიანი მამაკაცის თავში, რომელიც ფანტასტური არსების გულ-მკერდს წარმოადგენს.

არსებას გრძელი, ღინღლიანი კუდი აქვს. გრილოსის გვერდით, მარცხენა მხარეს, პალმის შტოა გამოხატული. ნიადაგის ზოლი ტეხილი ხაზითაა აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და საკმაოდ ბრტყელი რელიეფით. კარგი ნახელავია. ქვა კარგად არის გათლილი და ზედმიწევნით გაპრიანებული.

შდრ. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XXIX, 2574—2576 (კომბინაციაში განსხვავებაა); G. Richter, Catalogue of gems, ტაბ. 68, 274 (კომბინაციაში განსხვავებაა); Т. Кибальчич, Южно-русские геммы, ტაბ. VIII, 251.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—12 მმ.

43 (იხვ. № 865). D.

ინტალიო, მოწითალო სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, მაღალი; პირი და ზურგი ბრტყელი აქვს. ქვა ზურგისკენ ოდნავ ფართოვდება.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი ჰიგიეია, პროფილში მარცხნივ. თავი სუმარულად არის შესრულებული—სახის ნაკვთები გაერთიანებული აქვს. ღვთაებას გრძელი კვართი აცვია; იდაყვში მობრილ მარჯვენა ხელში თასი უჭირავს. თასი ძალიან სქემატურად არის გამოხატული. ჰიგიეიას სხეულს გველი შემოხვევია. ქვეწარმავალს თავი თასთან აქვს მიტანილი.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და სქემატურად. ტლანქი ნახელავია. ქვა გაპრიანლებულია, გამოხატულება მქრქალია.

შდრ. М. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро, ტაბ. II, 57; აგრეთვე, მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. II, გამ. 13; Т. Кибальнич, Южно-русские геммы, ტაბ. IV, 129.

დაცულობა: ინტალიოს წახნაგი ჩამოტეხილი აქვს, ქვა აქა-იქ ატკეცილია.

ზომა: სიგრძე—9 მმ, განი—6 მმ.

ახ. წ. II—III საუკ.

44 (იხვ. № 894). D.

ინტალიო, ნარინჯისფერი სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი პირითა და ასეთივე ზურგით, მაღალია; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ჰერმესი, სხეული პირდაპირ არის მოცემული, თავი პროფილში მარცხნივ.

ჰერმესს წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში ქისა უჭირავს, მარცხენაში—კვერთხი; მარცხენა მკლავზე დახვეული წამოსასხამი აქვს გადაკიდებული. ფეხებს შორის ნიადაგის ზოლია აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და მკვეთრად. ქვა გაპრიანლებულია, გამოხატულება მქრქალია.

შდრ. М. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро, ტაბ. I, 8, 31; II, 58; А. Furtwängler, Beschreibung, 3517—3522 (დამუშავების მანერითა და სტილით განსხვავდება).

დაცულობა: ინტალიო ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ზომა: სიგრძე—10 მმ, განი—7 მმ.

ახ. წ. II—III საუკ.

45 (იხვ. № 887). D.

ინტალიო, მუქი ნარიჯისფერი სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, ზურგი პირთან შედარებით ვიწრო აქვს.

პირზე გამოხატულია ჰერმესი, ტანი—სამი მეოთხედით პროფილში მარცხნივ აქვს მიბრუნებული, თავი სუფთა პროფილშია მოცემული. გამოხატულება სუმარულად არის გადმოცემული; თავი ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული და ცალკეული ნაკვთები არ არის გამოყოფილი ერთიმეორისგან, ასევე ტანი.

ჰერმესს წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში ქისა უჭირავს, მარცხენაში—კვერთხი; მარცხენა მკლავზე დახვეული წამოსასხამი აქვს გადაკიდებული. ფეხებს შორის მოკლე ნიადაგის ზოლია აღნიშნული.

გამოხატულება ხელით უნდა იყოს ამოჭრილი, არაღრმად და ბრტყელი რელიეფით. ტლანქი ნახელავია. ქვა გაპრიალებულია. გამოხატულება მქრქალია.

შდრ. M. Максимова, Геммы из некрополя Мухеты—Самтавро, ტაბ. I, 8, 31, ტაბ. II, 58; A. Furtwängler, Beschreibung, 3517—3522 (დამუშავების მანერითა და სტილით განსხვავებულია).

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—11 მმ, განი—9 მმ.

ახ. წ. II—III საუკ.

46 (იხვ. № 877). D.

ინტალიო, წითელი ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი ზევსი, პირდაპირ, თავი პროფილში მარცხნივ აქვს მიბრუნებული.

თავი სუმარულად არის შესრულებული, ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული; ზევს ტიტველ ტანზე ქლამიდა აქვს წამოსხმული. წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში თასი (patera) უჭირავს, ლიბაციას ასრულებს, ზეაპყრობილი მარცხენა ხელით კვერთხს ეყრდნობა. ზევსის ფერხით მისი საღმრთო ფრინველი—არწივია გამონატული, რომელსაც თავი ზევსისკენ აქვს მიბრუნებული. გრძელი ხაზი ნიადაგის ზოლს აღნიშნავს.

გამონატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად და მკაფიოდ. სუფთა ნახელავია, გაბედული ხელით შესრულებული. ქვა კარგად არის გაპრიანებული, გამონატულება მქრქალია.

შდრ. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XVIII, 1260 (ზევსი ჰერასთან ერთად დგას); A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 23, 2614.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—11 მმ, განი—10 მმ.

ახ. წ. II-III საუკ.

47 (ინვ. № 878). D.

ინტალიო, საფირინისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს, ასეთივე ზურგი.

პირზე გამონატულია ზეზე მდგომი ზევსი პირდაპირ, თავი პროფილში აქვს მიბრუნებული. ტიტველ ტანზე ღვთაებას ქლამიდა აქვს წამოსხმული. ქსოვილი სქემატურად არის გადმოცემული. ზევსის თავი სუმარულად არის შესრულებული—სახის ნაკვთები გაერთიანებულია ერთ სიბრტყეში.

ღვთაებას მარჯვენა ხელში მეხი უჭირავს, მარცხენა ხელით კვერთხს ეყრდნობა. ზევსის ფერხით მისი საღმრთო ფრინველი—არწივია გამონატული. ნიადაგის ზოლი გრძელი ხაზითაა აღნიშნული.

გამონატულება დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად და საკმაოდ სუმარულად. გაბედული ხელით შესრულებული ნახელავი არ გამოირჩევა სიფაქიზით. ქვა გაპრიანებულია. გამონატულება მქრქალია.

შდრ. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XVIII, 1260 (ზევსი ჰერასთან ერთად დგას): S. Reinach, Pierres gravées, ტაბ. 28, 55^b, 55^s. A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 23, 2613, 2614.

დაცულობა: ზურგი სისქეში ერთგან გაბზარულია.
ზომა: სიგრძე—11 მმ, განი—8 მმ.
ახ. წ. II—III საუკ.

48 (ინვ. № 875). D.

ინტალიო, წითელი ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი, პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი ზევსი, სამი მეოთხედით მარჯვნივ მიბრუნებული. თავი პროფილში მარცხნივ არის მოცემული. ზევსი ტიტველია; იდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელში თასი (patera) უჭირავს, ძირს დაშვებულ მარცხენა ხელში—მეხი. ფეხებს შორის ნიადაგის ზოლია გამოხატული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და მკვეთრად. სუფთა ნახელავია, ერთგვარად სქემატურ ხასიათს ატარებს. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

შდრ. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XVIII, 1253; Т. Кн-бальчик, Южно-русские геммы, ტაბ. IV, 136.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—10 მმ, განი—8 მმ.

49 (ინვ. № 152). D.

ინტალიო ბაცი ყავისფერი სარდერისა, რკინის ბუდეში ზის. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, მაღალი, ზურგისკენ ფართოვდება; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს¹⁴.

პირზე გამოხატულია ხელის ჩამორთმევა-თანხმობისა და კავშირის ნიშანი, გამოხატულება საკმაოდ სქემატურად არის შესრულებული. ყველა თითი ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული. გამოყო-

¹⁴ იხ. ა. ზახაროვი, ტაბ. IV, 10.

ფილია ერთ-ერთი ხელის ცერი. ხელებს ზევით და ქვევით წმინდა ღარებია—ხაზებია ამოჭრილი. მაჯები ორ-ორი ხაზითაა აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად და ბრტყელი რელიეფით. საკმაოდ პრიმიტიული ნახელავია. თვალი გაპრილებულია, გამოხატულება მჭრელს მჭრქალად დაუტოვებია.

შღრ. М. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро, ტაბ. I, 30; მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები III, თბილისი 1961, ტაბ. IX, 28; Т. Кибальчич, Южно-русские Геммы, ტაბ. III, 91, 92, 95.

ბეჭედი ფრაგმენტირებული რკინისა. ჩანს ბეჭედს ვიწრო რკალი ჰქონია, საკმაოდ მკვეთრად გამოხატული მხრებით, რომელიც უშუალოდ გადადიოდა ოვალური მოყვანილობის დაბალ ბუდეში.

დაცულობა: თვალი კარგად არის შენახული. ბეჭდისაგან დარჩენილია პატარა ფრაგმენტი, ძალიან დაჟანგული და დაზიანებული ბუდე, რკალის ნაწილით.

ზომა: სიგრძე—9 მმ, განი—6 მმ; ბეჭდის ფრაგმენტის სიგრძე 16 მმ.

II საუკ. ბოლო ან III საუკ. დასაწყისი.

59. (ინვ. № 917). D.

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, პირი ოდნავ ამობურცული აქვს, ზურგი ცენტრში, ბრტყელია; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი არესი, ნახევრად მარჯვნივ მიბრუნებული. თავი პროფილში მარცხნივ აქვს გამოხატული, წვერიანია.

ომის ღვთაება საომარი საჭურვლით არის შემოსილი. თავზე მუზარადი ახურავს, მოკლე კვართი აცვია, გულ-მკერდს აბჯარი უფარავს, ფეხებზე თორნი აცვია. მარცხენა ხელით არესი შუბს ეყრდნობა, წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში ნიკე უჭირავს. ნიკე ძალიან სუმარულად არის შესრულებული.

გამარჯვების ღვთაებას ხელში ბაბთებით შემკული გვირგვინი უჭირავს, არესის თავის შემკობას აპირებს გამარჯვების ნიშნად.

არესის ზურგს უკან ჩუგლუგი ჩანს, მხარზე უნდა ჰქონდეს გადაკიდებული; მის ფეხთით, მარცხენა მხარეს, ფარი დგას. ნიადაგის ზოლს მოკლე ხაზი გამოხატავს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად და სქემატურად. ტლანქი ნახელავია, გაბედული ხელით შესრულებული. ქვა მკრთალად არის გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

შდრ. A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 24, 2682 (კომპოზიციის მიხედვით მცირეოდენი განსხვავებაა).

და ცულობა: პირი ზოგან დაკაწრულია, მცირედ.

ზომა: სიგრძე—12 მმ, განი—9 მმ.

ახ. წ. II საუკ. ბოლო ან III საუკ. დასაწყისი უნდა იყოს.

51 (იხვ. № 872). D.

ინტალიო, ზურმუხტის პლაზმისა, ღია ფერისა, შავი წინწყლებით სისქეში. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი.

პირზე გამოხატულია ჰერმესი და ჰერაკლე ერთმანეთის გვერდით. ჰერმესს თავი პროფილში, მარჯვნივ აქვს მიბრუნებული, ჰერაკლეს პროფილში მარცხნივ, ერთმანეთს უყურებენ.

ინტალიოზე ჰერაკლეს მეთერთმეტე გმირობა უნდა იყოს წარმოდგენილი, მისი გამგზავრება ჯოჯოხეთში ცერბერის მიწაზე დასაბრუნებლად.

ჰერმესს მარჯვენა ხელში კერიკეიონი უჭირავს, ამავე მკლავზე დახვეული წამოსასხამი აქვს გადაკიდებული, მარცხენა ხელში გაურკვეველი საგანი უჭირავს. ჰერაკლეს ფეხთით მისი კომბალი დგას; მარცხენა ხელში გმირს მახვილი (?) უპყრია, რომლითაც კომბალს ეყრდნობა. მარჯვენა ხელში ჰერაკლეს აპოლონის ნახუქარი მშვილდი უნდა ეჭიროს. ნიადაგის ზოლი ჰერაკლესა და ჰერმესის ფეხებს შორის არის გავლებული.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ტლანქი ნახელავია. ფონი ოსტატს მკრთალად გაუპრიალებია, გამოხატულება მქრქალია. ინტალიოს ზურგი არ არის გაპრიალებული.

შდრ. Lippold, Gemmen und Kameen, ტაბ. XXXVIII, 1 (ეტრუსკული სკარაბეი. ლონდონი, A. G., XVIII, 19).

დაცულობა: კარგად არას შენახული
ზომა: სიგრძე—12 მმ, განი—8 მმ.

ახ. წ. II საუკ. ბოლო და III საუკ. დასაწყისი უნდა იყოს.

52 (ინვ. № 924). D.

ინტალიო, ბაცი იასამნისფერი ამეთვისტოსი, ქვა ზოგან თითქმის თეთრია. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, პირი ოდნავ ამობურცული აქვს, ზურგი ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ლოდზე ჩამომჯდარი ჰერმესი, პროფილში მარჯვნივ, ისვენებს.

ჰერმესის თავი სუმარულადაა შესრულებული ისე, რომ სახის ნაკვთების გარჩევა შეუძლებელია. თავზე ჰერმესს პეტაზი უნდა ეხუროს; ფეხზე ფრთიანი ფეხსაცმელი აცვია. ფეხი-ფეხზე აქვს შემოდებული.

მარცხენა მხარეს ჰერმესის კვერთხია გამოხატული, მარჯვენა ბეჭთან გაურკვეველი საგანი ჩანს. ჰერმესის ფეხთან, მარცხნივ, მამალი (?) უნდა იდგეს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი საკმაოდ ღრმად და სუმარულად. ტლანქი ნახელავია, გაბედული ხელით შესრულებული. ჩანს, გამოხატულება გაპრიალებული ყოფილა. ზურგი ზედმიწევნით არის გაპრიალებული.

შდრ. Walters, Catalogue of gems. ტაბ. XIX, 1401 — 1403.

დაცულობა: ინტალიო სისქეში დაბზარულია, ზურგი ერთგან ატკეცილია; პირი გახეხილი აქვს.

ზომა: სიგრძე—12 მმ, განი—10 მმ.

ახ. წ. II—III საუკ. უნდა იყოს.

53 (ინვ. № 909). D.

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონისა, სისქეში აქა-იქ შავი წინწკლები აქვს. ოვალური მოყვანილობის ინტალიო ამობურცულია.

პირზე გამოხატულია ერთმანეთის პირდაპირ მდგომი ნიკე და ათენა. ნიკე პროფილში მარჯვნივ დგას, ათენა—მარცხნივ.

ათენა საომარი საჭურვლით არის შემოსილი, თავზე იონური მუზარადი ახურავს, გრძელი და მრავალნაოჭიანი კვართი აცვია, გულ-მკერდთან ვიწრო სარტყლით გადაჭერილი. ღვთაებას მარჯვენა ხელი წინ აქვს გაწვდილი, მარცხენა ხელით შუბი უჭირავს. ათენას მარცხენა ფეხთან ფარი დგას, რომელსაც იგი ოდნავ ეყრდნობა ხელით.

ნიკეს წელთან გამოფენილი პეპლოსი აცვია, წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში ბაბთებით შემკული გვირგვინი უჭირავს, ათენას უახლოვდება და თავზე უნდა დაადგას. მარცხენა მხარზე ღვთაებას პალმის შტო აქვს გადებული. მოკეცილი ფრთის ბოლო პირის კიდეს ეხება.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, ღრმად და სქემატურად. სუფთა ნახელავია. პირი გამოხატულებითურთ მქრქალია, ზურგი გაპრიალებულია.

დაცულობა: პირი გახეხილია, ხანგრძლივი ტარების შედეგი უნდა იყოს.

ზომა: სიგრძე—14 მმ, განი—11 მმ.

54 (ინვ. № 904). D.

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი მკვეთრად არის დაქანებული.

პირზე გამოხატულია დაბალ ტახტზე მჯდომარე ზევსი, პროფილში მარცხნივ. გულ-მკერდი ნახევრად პროფილშია მოცემული, ზევსის წინ ფორტუნა დგას.

ზევსს მაღალი თმის ვარცხნილობა აქვს; თავი სუმარულადაა გადმოცემული. წელს ზევით ზევსი ტიტველია; ფეხები და მუხლები ქლამიდაში აქვს გახვეული. ღვთაებას წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში სფეროსებრი საგანი უჭირავს, ზეაპყრობილი მარცხენა ხელით კვერთხს ეყრდნობა.

ზევის წინ მდგომი ფორტუნა შედარებით პატარა ტანისაა, სახის ნაკვთები გაერთიანებული აქვს ერთ სიბრტყეში. ქალღმერთს მარჯვენა ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს, მარცხენა ხელით გუთანს ეყრდნობა. ნიადაგის ზოლი გრძელი ხაზით არის აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და სქემატურად. სუფთა ნახელავია, საკმაოდ სუმარულად შესრულებული გამოხატულებით. ქვა გაპრიალებულია, გამოხატულება მქრქალია.

დაცულობა: ინტალიო ადგილ-ადგილ ატკეცილია, ძალიან მცირედ.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—10 მმ.

55 (ინვ. № 905). D.

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, მაღალი და ბრტყელი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ათენა-პალადა და ფორტუნა ერთიმეორის უკან, პროფილში მარცხნივ.

ათენა საომარი საჭურვლით არის შემოსილი, თავზე მუზარადი ახურავს; გრძელი, უსახელო და თეძოებთან გადმოფენილი კვართი აცვია. მარჯვენა ხელით შუბს ეყრდნობა, ძირს დაშვებულ მარცხენა ხელში ფარი უჭირავს.

ფორტუნა გრძელი უსახელო და მრავალნაოჭიანი კვართით არის შემოსილი. ძირს დაშვებული მარჯვენა ხელით გუთანს ეყრდნობა, მარცხენა ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს. ამავე მკლავზე დახვეული წამოსასხამი აქვს გადაკიდებული. ნიადაგის გრძელი ზოლი სწორი ხაზითაა აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და საკმაოდ ბრტყელი რელიეფით. მთელი რიგი დეტალები ოსტატს სუმარულად აქვს ამოჭრილი. ტლანქი ნახელავია. ქვა გაპრიალებულია, გამოხატულება მქრქალია, აქა-იქ ელვარე პოლირება აქვს.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—10 მმ.

ახ. წ. III საუკ. უნდა იყოს.

56 (ინვ. № 915). D.

ინტალიო, მოწითალო ნარინჯისფერი სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი. პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი ოდნავ დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ათენა და ფორტუნა-იზიდა, ღვთაებებს შორის დაბალი სამსხვერპლოა მოთავსებული.

სამსხვერპლოდან მარჯვნივ ათენა დგას, თავი პროფილში, მარჯვნივ აქვს მოცემული, ტანი—პირდაპირ, ფეხები—მარცხნივ. ღვთაებას გრძელი უსახელო კვართი აცვია. კვართი წელთან ვიწრო სარტყლით არის გადაჭერილი.

ათენას მარჯვენა ხელით შუბი უჭირავს, ამავე ხელით მის ფეხით მდგომ ფარს ეყრდნობა, მარცხენა ხელი ღვთაებას სამსხვერპლოსკენ აქვს გაწვდილი.

მარცხენა მხარეს ფორტუნა-იზიდა დგას, თავი პროფილში, მარცხნივ აქვს მიბრუნებული. ტანი პირდაპირ არის მოცემული. ღვთაებას გრძელი და მრავალნაოჭიანი კვართი აცვია. ფორტუნას წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში პურის თავთავეები უჭირავს, მარცხენა ხელში—სიუხვის ყანწი. ამავე ხელზე წამოსასხამი აქვს გადაკიდებული. ფორტუნა-იზიდას ფეხით, მარჯვენა მხარეს, გუთანია გამოხატული.

ღვთაებებს შორის, სამსხვერპლოს თავზე, მნათობია ამოჭრილი, არათანაბარი ზომის სხივებით. ნიადაგის აღმნიშვნელი გრძელი ზოლი სწორი ხაზითაა აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად და სქემატურად. ტლანქი ნახელავია. ქვა გაპრიალებულია, გამოხატულება მქრქალია.

დაცულობა: პირი გახეხილია.

ზომა: სიგრძე—14 მმ, განი—12 მმ.

57 (ინვ. № 886) D.

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ტიხე-ფორტუნა, პროფილში მარცხნივ. თავი ძალიან სუმარულად არის შესრულებული, ამიტომ სახის ნაკვთების გარჩევა შეუძლებელია.

ქალღმერთს გრძელი უსახელო კვართი აცვია, ქსოვილის ნაკვები სწორი ხაზებით არის გადმოცემული. ღვთაება წინ გაწვდილი მარჯვენა ხელით საჭეს ეყრდნობა; მარცხენა ხელში დიდი ზომის სიუხვის ყანწი უჭირავს; ამავე მკლავზე დახვეული წამოსასხამი აქვს გადაკიდებული. ფორტუნას ფეხებს შორის ნიადაგის ზოლი ჩანს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და მკაფიოდ. სქემატური და ტლანქი ნახელავია. ქვა გაპრიანებულია, გამოხატულება მქრქალადაა დატოვებული.

შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. II, 18. М. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро, ტაბ. I, 23, 24, 25 (სტილისტური განსხვავებაა). უცხო მასალებიდან: А. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 23, 2560; G. Richter, Catalogue of gems, ტაბ. 79, 373; Т. Кибальнич, Южно-русские геммы, ტაბ. III, 104, 105.

დაცულობა: ქვედაპირი ერთგან ატკეცილია.

ზომა: სიგრძე—10 მმ, განი—9 მმ.

ახ. წ. III საუკ.

58 (იხვ. № 876). D.

ინტალიო, წითელი ფერის ე. წ. ლუქისებრი იასპისა. ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, მალალი, ზურგისკენ ფართოვდება.

პირზე გამოხატულია ჭიანჭველა.

გამოხატულება საჭრისით არის ამოჭრილი, არაღრმად და საკმაოდ სქემატურად. ქვა გაპრიანებულია, გამოხატულება მქრქალია.

შდრ. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XXIX, 2553; Т. Кибальнич, Южно-русские геммы, ტაბ. I, 25; G. Richter, Catalogue of gems, ტაბ. 67, 256.

გვერდებისკენ განზიდული რკალი „მხრებთან“ ფართოვდება და მეტად დაბალ ბუდეში გადადის უშუალოდ. ბუდე შიგ რკალ-

შია, ბეჭედში, ამოჭრილი. ბეჭდის რკალი თხელია. ბეჭედს ელიფსისებრი მოყვანილობა აქვს. ბუდე ბრტყელძირიანია.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული, ბეჭედი დამტვრეული და ნაკლულია.

ზომა: სიგრძე—6 მმ, განი—5 მმ; ბეჭდ. დიამ.—15 მმ.

ბეჭედი შდრ. F. Henkel, Die römischen Fingerringe der Rheinlande, Berlin, 1913, ტაბ. XLVII, 1213, 1213 a, 1213 b; ტაბ. XXXV, 919, 919 a, 919 b. საქართველოში აღმოჩენილი მასალებიდან იხ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. 2, 16.

ბეჭედი ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

59 (ინვ. № 921). D.

ინტალიო, მუქი ნარინჯისფერი სარდიონისა, შავი წინწყლებით სისქეში. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაბალი და ოდნავ დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ერთმანეთის პირდაპირ მდგომი ათენა-პალადა და ფორტუნა. ათენა მარჯვენა მხარეს დგას, ფორტუნა—მარცხნივ.

ათენა გრძელი კვართით არის შემოსილი; თავი სუმარულად აქვს გადმოცემული. ზეაპყრობილი მარჯვენა ხელით შუბს ეყრდნობა. მარცხენა ხელი წინ გაუწვდია.

ფორტუნაც გრძელი კვართით არის შემოსილი, მარჯვენა ხელი წინ აქვს გაწვდილი, მარცხენა ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს. იმავე ხელზე დახვეული წამოსასხამი აქვს გადაკიდებული.

ღვთაებებს შორის თავდახრილი ცხენი დგას, ბალახს ძოვს. ცხენის ზემოთ, ღვთაებებს შორის გამოხატულია არგეის მთა. ნიადავის ზოლს სწორი ხაზი აღნიშნავს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად და სქემატურად. ტლანქი ნახელავია, ქვა გაპრიალებულია, გამოხატულება მქრქალია.

შდრ. G. Richter, Catalogue of gems, ტაბ. 78, 358; A. Furt-

wängler, Beschreibung, ტაბ. 23, 2560; მ. ლორთქიფანიძე, გემე-
ბი, III, ტაბ. I, 2.

დაცულობა: პირი ერთგან ატკეცილია, მცირედ, ზურგს
რამდენიმე ანატკეცი აქვს.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—11 მმ.

ახ. წ. III საუკ.

60 (იხვ. № 874). D:

ინტალიო, მუქი ყვითელი ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვა-
ლური მოყვანილობისაა, მაღალი, ოდნავ ამობურცული პირით და
ასეთივე ზურგით; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი და-
ქანებულია.

პირზე გამოხატულია ფრთოსანი ღვთაება, ნემეზიდა (?). პრო-
ფილში მარჯვნივ. ღვთაებას თავი ძალიან სუმარულადაა გადმოცე-
მული—ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული. დიდი ფრთა ძალიან
სქემატურად არის შესრულებული. ქალღმერთს გრძელი, უსახელო
კვარტი აცვია; ქსოვილის ნაოჭებს სქემატური ხაზები გამოხატავს.
მარცხენა ხელით ღვთაება ნიჩაბს (?) ეყრდნობა. ფეხით საჭე (?)
უდგია. ნიადაგის ზოლს სწორი ხაზი აღნიშნავს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და სქემატუ-
რად. ტლანქი ნახელავია. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამო-
ხატულება მჭრქალია.

შდრ. S. Reinach, Pierres gravées, ტაბ. 46, 98¹, 98², 98³;
H. Carnegie, Catalogue of gems, ტ. I, ტაბ. IV, C 27 (სტილის-
ტურად განსხვავდება).

დაცულობა: თვალი კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—10 მმ.

ახ. წ. III საუკ. უნდა იყოს.

61 (იხვ. № 913). D:

ინტალიო, ნარინჯისფერი სარდიონისა. ინტალიო ოვალური
მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი ფიგურა, პირდაპირ, თავი პროფილში მარცხნივ აქვს მიბრუნებული. ჰერმესი უნდა იყოს. მარჯვენა ხელში ქისა (?) უჭირავს, მარცხენაში კვერთხი (?). თავზე პეტაზი ახურავს. ფეხებზე ფრთებიანი ფეხსაცმელი აცვია, მარჯვენა მხარეს, ფეხით ცხოველი უნდა იყოს გამოხატული.

გამოხატულება ძალიან სუმარულად არის შესრულებული, ამდენად დეტალების გარჩევა ძნელდება.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და სქემატურად. ქვა კარგად არის გათლილი. პირი მკრთალად არის გაპრიანებული, გამოხატულება მქრქალია, ზურგი ელვარებს.

შდრ. A. Furtwängler, Beschreibung, ტაბ. 24, 2707 (კომპოზიციაში განსხვავებაა. ამოჭრის მანერა, სტილი—ერთია). სტილისტურად შდრ. აგრეთვე 2726, 2734.

დაცულობა: ინტალიოს პირი ოდნავ გახეხილი აქვს.

ზომა: სიგრძე—8 მმ, განი—6 მმ.

ახ. წ. III საუკ. უნდა იყოს!

62 (ინვ. № 115). D.

ინტალიო, მუჭი ნარინჯისფერი სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი¹⁵.

პირზე გამოხატულია ირემი პროფილში მარჯვნივ, მიმავალი, ნუკრს აწოვებს. გამოხატულება ძალიან სქემატურად არის შესრულებული. ირემს დიდი, ქორბუდა რქები აქვს, გრძელი ღრუნჩი; თავი არ ჩანს იმის გამო, რომ გამოხატულება იმ ადგილას დაზიანებულია. ფერდები სამი პარალელური ხაზით არის გადაკვეთილი—ნეკნებს გამოხატავს. მოკლე კუდი და ფეხები სწორი ხაზებითაა გამოხატული. ნუკრი ძალიან სუმარულადაა შესრულებული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და ძალიან სქემატურად. ქვა გაპრიანებულია, გამოხატულება მქრქალად არის დატოვებული.

შდრ. M. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро, ტაბ. II, 47.

¹⁵ იხ. ნ. ზახაროვი, იქვე, ტაბ. II, 44.

დაცულობა: პირი ერთგან ამოტეხილია ისე, რომ გამოხატულება, სახელდობრ ირმის თავი დაზიანებულია.

ზომა: სიგრძე—12 მმ, განი—11 მმ.

ამოჭრის მანერისა და სტილის მიხედვით ახ. წ. III საუკ. თარიღდება,

63 (ინვ. № 55). D.

ინტალიო, წითელი ფერის სარდიონის. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, პირი ამობურცული აქვს ზურგი ბრტყელი¹⁶.

პირზე გამოხატულია გრძელი კვართით შემოსილი ზეზე მდგომი ღვთაება. თავი პროფილში მარცხნივ აქვს მიბრუნებული. ღვთაება ნაყოფიერების ქალღმერთი დემეტრა უნდა იყოს. დემეტრას თავი სუმარულად არის გადმოცემული; პირი და ცხვირი მეტად მკრთალად არის აღნიშნული.

ქალღმერთს იდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელში ნაყოფით სავსე ლანგარი უჭირავს და სამსხვერპლოს თავზე გაუწვდია, ჩანს მსხვერპლს წირავს. სამსხვერპლოზე ცეცხლი ანთია. დემეტრას მარცხენა ხელი ძირს აქვს დაშვებული, ხელის მტევანი არ უჩანს.

ქალღმერთს მრავალნაოჭიანი კვართი აცვია, რომელიც გულმკერდსა და თეძოვებთან ვიწრო ქამრებითა აქვს გადაჭერილი.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად და მკვეთრად. სქემატური ნახელავია. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება მჭრქალია.

შდრ. Walters, Catalogue of gems, ტაბ. XVIII, 1303, 1304 (სტილისტურად და ამოჭრის მანერით განსხვავდება); შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. II, 23.

დაცულობა: პირი ინტალიოს ატკეცილი აქვს ისე, რაში გამოხატულება, სახელდობრ, ღვთაების მარცხენა ხელი, დაზიანებულია.

ზომა: სიგრძე—12 მმ, განი—9 მმ.

¹⁶ იხ. ა. ზახაროვი, იქვე, ტაბ. II, 132.

ამოჭრის მანერისა და სტილის მიხედვით ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

64 (იხვ. № 159). D.

ინტალიო, აქატისა, ქვედა ფენა ყვითელია, ზედა, რომელზედაც გამონახატულება არის ამოჭრილი, თეთრია. ინტალიო ბრტყელია, ოვალური მოყვანილობისა უნდა ყოფილიყო, ნაწილი მოტეხილი აქვს¹⁷.

პირზე გამონახატულია მარჯვენა მუხლზე დაჩოქილი მამაკაცი, რომელსაც ჩახვეულკიდებებიანი თავსაბურავი ახურავს. სახე სუმარულადაა გადმოცემული—სახის ნაკვთები გაერთიანებულია. წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში ჯამისებრი ჭურჭელი უჭირავს, იდაყვში მოხრილ და ზეაპყრობილ მარცხენა ხელში—მრგვალი მოყვანილობის საგანი. მამაკაცი ტიტველია არაპროპორციული აღნაგობისა, ტანთან შედარებით მოკლე და წვრილი ხელები აქვს; მარჯვენა ფეხის წვივი მარცხენასთან შედარებით ბევრად უფრო წვრილია. გრძელი ნიადაგის ზოლი სწორი ხაზითაა მოცემული.

გამონახატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად. ტლანქი ნახელავია. ინტალიო გაბრიალებულია. გამონახატულების ნაწილი, მამაკაცის თავი, მქრქალია.

დაცულობა: თვალს 1/3 ჩამოტეხილი აქვს.

ზომა: სიგრძე—9 მმ, განი—11 მმ.

ამოჭრის მანერის მიხედვით ახ. წ. III საუკ. უნდა იყოს.

65 (იხვ. № 160). D.

ინტალიო, ფრაგმენტი ალმანდინისებრი მინისა. ინტალიო, ოვალური მოყვანილობისა უნდა ყოფილიყო. ბრტყელია¹⁸.

¹⁷ იხ. ა. ზახაროვი, იქვე, ტაბ. IV, 129.

¹⁸ იქვე, ტაბ. IV, 130.

პირზე გამოხატულია ადამიანის ფიგურა, პროფილში მარჯვნივ ტიტველია. თავი სუმარულად აქვს შესრულებული, ცხვირია მხოლოდ მკრთალად გამოყოფილი. მარჯვენა ხელი პირთან აქვს მიტანილი, მარცხენა ხელში გაუჭკვეველი საგანი უჭირავს. მარჯვენა ხელი მარცხენასთან შედარებით მსხვილი აქვს.

ინტალიო ჩამოსხმულია, გამოხატულება მკაფიოდაა გამოსული. დედანი, რომლიდანაც პირი აუღიათ, სუმარული ნახელავი ყოფილა. თვალი გაპრიალებულია, გამოხატულება მქრქალია.

დაცულობა: თვალს 1/2 მოტეხილი აქვს. პირზე ადგილადგილ პატარა ანატკეცებია.

ზომა: სიგრძე—7 მმ, განი—10 მმ.

ახ. წ. III საუკ. უნდა იყოს.

66 (ინგ. № 157). D.

ინტალიო, ფრაგმენტი, პიროპისა¹⁹.

ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, პირი ამობურცული აქვს, ზურგი ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ეროსი, პროფილში მარჯვნივ, მირბის. თავი არ უჩანს (იმ ადგილას გადატეხილია). ხელში ჩირალდანი უჭირავს. მეტად სქელი სხეული აქვს, არაპროპორციულად წვრილი ფეხები, სწორი ხაზებით შესრულებული. მოკეცილი ფრთა ოთხი წყება ნაკრტენისგან შედგება.

გამოხატულება დაზგაზგა ამოჭრილი, არალრმად და მკვეთრად გამოხატულება ტლანქად არის ნაკვეთი. ფონი კარგად არის გაპრიალებული—ელვარებს. გამოხატულება მქრქალად არის პოლირებული, ზურგი მჭრელს არ გაუპრიალებია.

დაცულობა: ინტალიოს 1/3 ჩამოტეხილი აქვს ისე, რომ გამოხატულება დაზიანებულია, სახელდობრ ეროსის თავი, მხრები და ფრთა.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—10 მმ.

ახ. წ. III საუკ. უნდა იყოს.

¹⁹ იხ. ა. ზახაროვი, იქვე, ტაბ. V, 127

67 (ინვ. № 888). D.

ინტალიო, ნარინჯისფერი სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი ღვთაება, პროფილში მარჯვნივ; თავზე მუზარადი უნდა ეხუროს, გრძელი კაბით არის შემოსილი.

ღვთაების თავი სუმარულად არის შესრულებული. ქალღმერთს წინ გაწვდილ მარცხენა ხელში რკალი (?) უჭირავს, ძირს დაშვებული მარჯვენა ხელით. ადამიანის თავი. მარცხენა მხარეს, ფეხით, თავწაკვეთილი ადამიანის (?) სხეული უნდა იყოს გამოხატული. ღვთაების მარჯვენა მხართან ბაბთებით შემკული სარია ამოჭრილი. ნიადაგის ზოლი გრძელი ხაზითაა აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და ბრტყელი რელიეფით. სქემატური და ტლანქი ნახელავია. ქვა გამოხატულებითურთ გაპრიალელებულია.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—9 მმ, განი—7 მმ.

ახ. წ. III საუკ. უნდა იყოს.

68 (ინვ. № 906). D.

ინტალიო, თეთრი მინისა, გამჭვირვალე. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი მამაკაცის ფიგურა, ნახევრად მარჯვნივ მიბრუნებული—პროფილში მარცხნივ. თავი სუფთა პროფილშია გამოხატული. მამაკაცი წვერიანია, თმა მოკლედ აქვს შეჭრილი, წვერი და თმა საფეთქელთან შეზრდილია. თავს ვიწრო ბაბთა უნდა უმკობდეს. სახე საკმაოდ სუმარულადაა შესრულებული, სახის ნაკვთების გარჩევა ჭირს.

მამაკაცი გრძელი კვართითა და ჰიმატიონით არის შემოსილი. ჰიმატიონის ერთი ბოლო მამაკაცს მარცხენა მხარეზე აქვს გადაგდებული, რომლის კალთა ძირსაა ჩაშვებული.

მამაკაცს მარჯვენა ხელი წინ აქვს გაწვდილი, მარცხენა ხელში, მხარს უკან, კვერთხი თუ შუბი (?) უჭირავს. ფეხებს შორის ნიადაგის ზოლია გამოხატული.

ინტალიო ჩამოსხმულია, გამოხატულება მკაფიოდია გამოსული. დედანი, რომლიდანაც პირი აუღიათ, საკმაოდ ღრმად ნაკვეთი ყოფილა და სქემატური ნახელავი.

ინტალიო რკინის ბუდის ფრაგმენტში ზის. ბუდე სავსებით დეფორმირებულია, ალბათ ბეჭდისა იქნებოდა.

დაცულობა: ინტალიო გაბზარული და გახეხილია; ნაპირები შემომტვრეული აქვს. ბუდე ძალიან დაჟანგული და დეფორმირებულია.

ზომა: სიგრძე—11 მმ, განი—8 მმ.

ახ. წ. III საუკუნე უნდა იყოს.

69 (ინგ. № 893). D.

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, მაღალი, ბრტყელი პირი აქვს, ასეთივე ზურგი, პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი ღვთაება, სამი მეოთხედით მარჯვნივ მიბრუნებული; თავი პროფილშია მოცემული.

ღვთაებას გრძელი, უსახელო და მრავალნაოჭიანი კვართი აცვია. ქალღმერთს მარჯვენა ხელი იდაყვში მოხრილი და წინ გაწვდილი აქვს, მარცხენა ხელით კვერთხს ეყრდნობა. გამოხატულება ძალიან სქემატურია.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, სუმარულად და არაღრმად. ტლანქი ნახელავია. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიანებული, გამოხატულება მქრქალია.

დაცულობა: ინტალიო ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—11 მმ.

70 (ინგ. № 890). D.

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური

რი მოყვანილობისაა, მაღალი, ზურგისკენ ფართოვდება. ბრტყელი პირი აქვს; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი ქალის ფიგურა, პროფილში მარჯვნივ. თავი სუმარულად არის შესრულებული. ქალს გრძელი და მრავალნაოჭიანი კაბა აცვია. კაბა გულ-მკერდთან წვრილი სარტყლით არის გადაჭერილი. მარცხენა ხელი წინ აქვს გაწვდილი, მარჯვენა ძირსაა დაშვებული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და სქემატურად. ტლანქი ნახელავია. ქვა მკრთალად არის გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

დაცულობა: ზურგი რამდენიმე ადგილას ატკეცილია.

ზომა: სიგრძე—9 მმ, განი—6 მმ.

71 (იხვ. № 869). D.

ინტალიო, ზურმუხტის პლაზმისა, შავი წინწკლებით სისქეში. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს, ასეთივე ზურგი.

პირზე გამოხატულია არწივი, თავი პროფილში მარჯვნივ აქვს მიბრუნებული. ფრინველს პატარა ნისკარტი აქვს, ფრთებმოკეცილია. ნაკრტენი ირიბი ხაზებით არის გადმოცემული, გრძელ ბოლოს სწორი რელიეფური ხაზები გამოხატავს. მარჯვენა მხარეს გამოხატულია ტროფეი (?), რომელიც მცენარეებით არის შემკული. არწივს ბრტყალებში პურის თავთავები უჭირავს. ნიადაგის ზოლს წყვეტილი ხაზი გამოხატავს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და საკმაოდ ბრტყელი რელიეფით. სუფთა და გულმოდგინე ნახელავია, სქემატურად შესრულებული. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული. გამოხატულება მქრქალია.

დაცულობა: ინტალიოს სისქეში ორი ბზარი აქვს. *

ზომა: სიგრძე—10 მმ, განი—8 მმ.

72 (ინგ. № 895). D.

ინტალიო, წითელი ფერის იასპისა, ე. წ. ლუქისებრი იასპი. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი და საკმაოდ მაღალი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი საკმაოდ დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ეროსი, პროფილში მარჯვნივ; თავი ძალიან სუმარულად აქვს მოცემული—ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული. წინ გაწვდილ მარცხენა ხელში ეროსს ჩირაღდანი უჭირავს; მარჯვენა ხელში—გაურკვეველი საგანი. ეროსს ფეხი-ფეხზე აქვს შემოდებული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და ბრტყელი რელიეფით. ტლანქი ნახელავია, სუმარულად შესრულებული. ქვა გაპრიალეებულია, გამოხატულება მქრქალია.

დაცულობა: ინტალიოს ზურგი დაკაწრულია.

ზომა: სიგრძე—მ მმ, განი—ნ მმ.

73 (ინგ. № 56). D.

ინტალიო, მოწითალო სარდიონისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს²⁰.

პირზე გამოხატულია სატირი, მარცხნივ მიმავალი; თავი პროფილში მარცხნივ აქვს გამოხატული. სხეულის ზედა ნაწილი თითქმის პირდაპირ არის მოცემული.

თავი საკმაოდ სუმარულად არის შესრულებული. ცხვირი და პირი პირობითადაა აღნიშნული. გულ-მკერდი და მუცელი კუნთებით აქვს დაფარული. სატირს მარცხენა ხელში თხის ტყავი და ლაგობოლონი უჭირავს, მარჯვენა ხელში—რადაც ნაყოფი. ნიადაგის ზოლი მკვეთრად ჩანს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად და მკვეთრად. ტლანქი ნახელავია. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალეებული.

შდრ. H. Walters, Catalogue of Gems, ტაბ. XXI, 1602.

ბეჭდის ვიწრო რკალი მხრებთან ფართოვდება და დაკბილულ პუდეში გადადის. ბეჭედი შიგნიდან ბრტყელია, რკალი გარედან

²⁰ იხ ა. ზახაროვი, იქვე, ტაბ. IV, 136.

გრეხილებით არის შემკული. მხრებზე ბეჭედს რელიეფური ვარდულები აქვს გამოყვანილი (ყოველ მხარეზე ექვს-ექვსი) და თითო რომბია დარჩილული.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული, ვერცხლი გაშავებულია. ბუდეს „კბილები“ დაზიანებული აქვს.

ზომა: ბეჭდის დიამ.—18 მმ, ინტალიოს სიგრძე—13 მმ, განი—10 მმ.

74 (ინვ. № 8). D.

ინტალიო, წითელი სარდიონისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი და საკმაოდ მაღალი, ზურგისკენ ფართოვდება; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია დიონისე. თავი პროფილში მარცხნივ აქვს მიბრუნებული, სხეულის ზედა ნაწილი პირდაპირ არის მოცემული, ფეხები—პროფილში მარჯვნივ. თავი სუმარულადაა შესრულებული.

მკრთალადაა აღნიშნული ცხვირი, პირი და თვალი. დიონისე იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელით სვეტს ეყრდნობა, ამავე ხელში ტირსი უჭირავს. ტიტველ ტანზე გრძელი ქლამიდა აქვს წამოსხმული. მოკლე ნიადაგის ზოლი საკმაოდ მკვეთრადაა აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად და მკვეთრად. სქემატური და ტლანჭი ნახელავია. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

შდრ. Walters, Catalogue of Gems, ტაბ. XXI, 1542.

ბეჭედი ვერცხლისა. საკმაოდ განიერი რკალი მხრებთან ფართოვდება და ოვალური მოყვანილობის დაბალ ბუდეში გადადის. ბეჭედი გვერდებისკენ განზიდულია, საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული მხრები აქვს. ბუდე ბრტყელძირიანია.

დაცულობა: ინტალიო ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ზომა: ბეჭდის დიამ.—28 მმ, ინტალიოს სიგრძე—12 მმ, განი—11 მმ.

5. დაუთარილებელი გემები

75 (ინგ. № 54).

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, ზურგისკენ მკვეთრად ვიწროვდება; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია კენტავრი, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი. თავი სუმარულად აქვს შესრულებული, ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული. ცხვირი, პირი და თვალი პირობითად არის გადმოცემული, ოდნავ შესამჩნევი ხაზებით. მარცხენა ხელი კენტავრს წინ აქვს გაწვდილი, მარჯვენა ხელში ხის ტოტი უჭირავს. კენტავრს მარჯვენა წინა ფეხი აწეული აქვს, უკანა მარცხენა ფეხი სახსარშია მოხრილი. ძუა სწორი ხაზით არის გადმოცემული. გრძელი ნიადაგის ზოლი მკვეთრად არის აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და საკმაოდ სქემატურად. ნახელავი არ გამოირჩევა ოსტატობით. ქვა კარგად არის გათლილი. ზურგი პრიალებს, პირი მქრქალია.

დაცულობა: პირი ამოტეხილია ისე, რომ გამოხატულება დაზიანებულია, ქვას ნაპირი ჩამოტეხილი აქვს. ზურგი ადგილ-ადგილ ატკეცილია. ინტალიოს პირი გახეხილია.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—12 მმ.

76 (ინგ. № 161). M.

ინტალიო, სარდიონისებრი მინისა, ნარინჯისფერი. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, ზურგისკენ ვიწროვდება; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს²¹.

პირზე გამოხატულია ორი ცხენი, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი, ერთმანეთის გვერდით. ორივე ცხენს მარცხენა წინა ფეხი აქვთ აწეული. გამოხატულება სუმარულადაა შესრულებული, ცალკეული

²¹ ინ. ა. ზახაროვი, იქვე, ტაბ. V. 142.

დეტალების გამოყოფა ძნელია. მარჯვნივ მდგომი ცხენი მთლიანად ჩანს, მარცხნივ მდგომი ცხენისა კი მხოლოდ, თავ-მკერდი და ფეხები.

ცხენების ზურგს უკან გაურკვეველი საგანია ამოჭრილი—სამი ჯოხი ერთმანეთს პორიზონტალური ხაზით უერთდება. ნიადაგის ზოლი მკაფიოდ აა აღნიშნული.

ინტალიო ჩამოსხმულია, გამოხატულება კარგად არის გამოსული. ჩანს, დედანი არ გამოირჩეოდა შესრულების მხრივ ოსტატობით. ჩალიბიდან ამოღების შემდეგ თვალი კარგად შემოუსწორებიათ. ინტალიო არ არის გაპრიანებული.

დაცულობა: პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნავი ერთგან გამოტეხილია ისე, რომ პირის კიდეს ეხება.

ზომა: სიგრძე—11 მმ, განი—9 მმ.

77 (იხვ. № 665).

ინტალიო, მუჭი ნარინჯისფერი სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ზურგი.

პირზე გამოხატულია მიმავალი მამაკაცის ფიგურა, პროფილში მარჯვნივ. მამაკაცი ტიტველია, თავი ძალიან სუმარულად არის გადმოცემული—ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული. მამაკაცს თავზე ვიწრო ბაბთა აქვს შემოკრული, რომლის ბოლო მხრებამდე წვდება.

მარჯვენა ხელით მამაკაცი ეყრდნობა გრძელ სარს, რომელსაც გველი (?) შემოხვევია, მარცხენა ხელში ფრინველი უჭირავს. ფრინველს მოკაუჭებული ნისკარტი აქვს, სუმარულად შესრულებული თავი, გრძელი ბოლო. თავს პატარა ქოჩორი უმშვენებს. ფრინველის ქვემოთ ისრისებრი ნიშანია გამოხატული (პირველი შეხედვით ფრინველის ფეხებად მივიჩნიეთ). ნიადაგის ზოლი მკაფიოდ არის აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად. არ გამოირჩევა სიფაქიზით. გამოხატულება გაპრიანებულია—ელვარებს, ასევე ზურგი. პირი (ფონი) მქრქალია.

დაცულობა: ინტალიოს ზურგი, გაბზარული აქვს, ცერად; ზოგან ატკეცილია. პირი გახეხილია.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—10 მმ.

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონ-აქატისა, წითელი ძარღვებით. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირითა და რელიეფური ზურგით.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი ქალის ფიგურა, პირდაპირ, თავი პროფილში მარცხნივ აქვს მიბრუნებული. ფეხებიც პროფილშია გამოხატული. ხელებგაშლილია.

ქალს ფართოკიდებიანი თავსაბურავი ახურავს; თავი და სახე სუმარულად არის გამოხატული, სახის ნაკვთების გამოყოფა ერთიმეორისაგან შეუძლებელია. გრძელი კაბა აცვია, წელს ზევით კაბა სადაა, წელს ქვევით—მრავალნაკეციანი.

მარცხენა ხელში ქალს რალაც ნაყოფი (?) უჭირავს, მარჯვენა ხელში—ორი ერთმანეთზე გადახლართული გველი (?). ნიადაგის ზოლი სწორი ხაზით არის აღნიშნული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და სქემატურად. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული, გამოხატულება მქრქალია.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—16 მმ, განი—10 მმ.

ინტალიო, ყვითელი ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, ზურგისკენ მკვეთრად ფართოვდება; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია მხედარი, პროფილში მარჯვნივ ცხენით მიდის. მხედარის თავი ძალიან სუმარულად არის შესრულებული, სახის ნაკვთების გარჩევა შეუძლებელია. მხედარს წამოსასხამი აქვს წამოსხმული, რომელიც სწრაფი მოძრაობისაგან ჰაერში ფრიალებს. ქსოვილი სქემატური ხაზებით არის გადმოცემული.

ცხენს დაბალი ფაფარი აქვს, მოკლე-მოკლე სწორი ხაზებით აღნიშნული. აღვირს სწორი ხაზი გამოხატავს. მოკლე და წვრილი ძუა აწეული აქვს. ნიადაგის ზოლი ტეხილი ხაზითაა გამოხატული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად. ტლანქი და სქემატური ნახელავია. ქვა გაპრიალელებულია, საკმაოდ მკრთალად; გამოხატულება მქრქალია.

დაცულობა: ინტალიო სისქეში გაბზარულია, ცერად, რამდენიმე ადგილზე; პირს ერთი ანატკეცი აქვს, ზურგი რამდენიმე ადგილას ატკეცილია.

ზომა: სიგრძე—14 მმ, განი—13 მმ.

80 (იხვ. № 95). M.

ინტალიო, მოწითალო ნარინჯისფერი სარდიონისა, აქა-იქ თეთრი ლაქებით (პატინირებულია ან ხელოვნურად არის შეღებილი?); ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, საკმაოდ სქელი ფენისაგან ამოკვეთილი ²².

პირზე გამოხატულია მიწაზე მჯდომარე მაიმუნი, პროფილში მარჯვნივ. თავი სუმარულად არის შესრულებული, დაბალი კისერი აქვს. სხეულის ზედა ნაწილი ღრმა ლარებით არის დასერილი—ბალანსა და ნეკნებს გამოხატავს. მაიმუნს ორივე ხელში რალაც ნაყოფი უჭირავს; მარჯვენა ხელი ზევით აქვს აწეული და ნაყოფი პირამდე მიუტანია, მარცხენა ხელი ძირსაა დაშვებული. გრძელი კუდი წვრილი ხაზითაა გადმოცემული.

გამოხატულების ირგვლივ, პირის კიდესთან, ფოთლოვანი ორნამენტია ამოჭრილი; ოვალური მოყვანილობის ხაზურა ფოთლები წვრილ შტოზეა „ასხმული“.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად და მკვეთრად. სუფთა ნახელავია. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალელებული, გამოხატულება ოსტატს მქრქალად დაუტოვებია.

დაცულობა: თვალს ნაწილი ჩამოტეხილი აქვს ისე, რომ გამოხატულება დაზიანებულია.

ზომა: სიგრძე—13 მმ, განი—10 მმ.

²² იხ. ა. ზახაროვი, იქვე, ტაბ. II, 28.

81 (იხვ. № 109). M.

ინტალიო, ღია ფერის ზურმუხტისა. ინტალიო ოთ ხკუთხაა პირი ბრტყელი აქვს, ზურგი ამობურცული²³.

პირზე გამონატულია მამაკაცის ბიუსტი, პროფილში მარჯვნივ თავზე ფართო თავსაბურავი ახურავს, რომელიც კეფაზე ბაბთით არის შეკრული. თავსაბურავი შუბლს უფარავს; მოკლე და სწორი ცხვირი აქვს, მკვეთრად გამონატული ნესტოებით. პირი ორი მკრთალი ხაზითაა აღნიშნული. გრძელი ნიკაპი უშუალოდ გადადის ლოყაში. ლოყა შედარებით მაღალი რელიეფით არის გადმოცემული. თვალი წერტილითაა აღნიშნული. კისერი და მხარი პირობითად არის გამონატული, ქსოვილი—სამოსი ჰორიზონტალური ხაზებითაა დასერილი.

გამონატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და მკაფიოდ ტლანქი ნახელავია.

და ც უ ლ ო ბ ა: ინტალიოს კუთხე ჩამოტეხილი აქვს ისე, რომ გამონატულება დაზიანებულია (თავსაბურავის ზედა ნაწილი). სისქეში თვალს რამდენიმე ბზარი აქვს.

ზ ო მ ა: სიგრძე—9 მმ, განი—8 მმ.

6. მ ა ბ ი უ რ ი ბ ე მ ე ბ ი

82 (იხვ. № 126). M.

საბეჭდავი, თაფლისფერი აქატისა, თეთრი და მოყავისფრო ზოლებით²⁴. საბეჭდავი სფერული ფორმისაა, ცალ მხარეს წაკვეთილი, გამონატულება წაკვეთილ მხარეზეა ამოჭრილი; პირი მრგვალი და ბრტყელი აქვს. ქვაში გაკეთებულია პატარა ნახვრეტი ზონრისათვის.

პირზე ამოჭრილია ძალიან სქემატურად შესრულებული გამონატულება—სწორი ხაზებისაგან შედგენილია ხელ-ფეხ გაშლილი მამაკაცის ფიგურა, რომელსაც ორივე ხელში თითო გრძელი სარი უჭირავს. აღამიანის ფეხებს შორის ცხოველია გამონატული.

გამონატულება დაზგაზეა ამოჭრილი, ძალიან სქემატურად. პრიმიტიული და დაუდევარი ნახელავია. საბეჭდავი კარგად არის გაპრიალეებული. ქვა არ არის თანაბრად გათლილი.

²³ იხ. ა. ზახაროვი, იქვე, ტაბ. I, 17.

²⁴ იხ. ა. ზახაროვი, იქვე, ტაბ. V, 4.

მსგავსი გამოხატულება ფართოდ არის გავრცელებული ე. წ. მაგიურ გემებზე. იხ. L. Delaporte, I, Fouilles et Missions, ტაბ. 55, 2 (D. 155); L. Delaporte, II, Acquisitions, ტაბ. 108, 8 (A. 1253); А. Захаров, Геммы и античные перстни Гос. Исторического Музея, РАНИОН, в. 3, М., 1923, ტაბ. V, 15, 16, 17.

დაცულობა: პირი ერთგან ამოტეხილია, რამდენიმე ადგილას ატკეცილია. ზურგი ადგილ-ადგილ ატკეცილი და გაბზარულია. ზომა: სიმაღლე—22 მმ, პირის დიამ.—31 მმ.

83 (იხვ. № 128). M.

საბეჭდავი, მოყვითალო ნაცრისფერი აქატისა, ნაცრისფერი და მოყვითალო ზოლებით.

საბეჭდავი სფერული ფორმისაა, ცალ მხარეს წაკვეთილი, გამოხატულება წაკვეთილ მხარეზეა ამოჭრილი; პირი ოდნავ ამობურცული აქვს. ქვაში გაკეთებულია ნახვრეტი ზონრისათვის²⁵.

პირზე ამოჭრილია ძალიან სქემატურად შესრულებული გამოხატულება.—სწორი ხაზებისაგან შედგენილი ხელ-ფეხ გაშლილი მამაკაცი, რომელსაც ორივე ხელში თითო გრძელი სარი უჭირავს. ადამიანის ფეხებს შორის ცხოველია გამოხატული.

გამოხატულება საჭრისით არის ამოჭრილი, ძალიან სქემატურად. საბეჭდავი გაპრიალეებულია, ქვა საკმაოდ უწესოდ არის გათლილი.

მსგავსი გამოხატულებები გავრცელებულია ე. წ. მაგიურ გემებზე. იხ. L. Delaporte, I, Fouilles et Missions, ტაბ. 55, 2 (D. 155), 3 (D. 156); L. Delaporte, II, Acquisitions, ტაბ. 108, 8 (A. 1253); А. А. Захаров, Геммы и античные перстни Гос. Исторического Музея, РАНИОН, в. 3, М., 1923, ტაბ. V, 15, 16, 17.

დაცულობა: საბეჭდავი ადგილ-ადგილ ამოტეხილია, რამდენიმე ადგილას სისქეშია გაბზარული.

ზომა: სიმაღლე—20 მმ, პირის დიამ.—34 მმ.

²⁵ იხ. ა. ზახაროვი, იქვე, ტაბ. I, 3.

84 (იხვ. № 130). M.

საბეჭდავი, ნაცრისფერი აქატისა, გამჭვირვალე ზოლებით.

საბეჭდავი სფერული ფორმისაა, ცალ მხარეს წაკვეთილი²⁶, გამოხატულება წაკვეთილ მხარეზეა ამოჭრილი; პირი მრგვალი აქვს, საკმაოდ უსწორმასწორო. ქვაში გაკეთებულია ნახვრეტი ზონრისათვის.

პირზე ამოჭრილია ხაზებისაგან შედგენილი გამოხატულება, მამაკაცი უნდა იყოს. ხელ-ფეხ გაშლილია, ხელში გრძელი სარი უჭირავს.

გამოხატულება საჭრისითაა ამოჭრილი. საბეჭდავი უწესოდ არის გათლილი, გაპრიალებულია.

მსგავსი გამოხატულებები იხ. ე. წ. მაგიურ საბეჭდავებზე, L. Delaporte, I, Fouilles et Missions, ტაბ. 55,2 (D. 155); 3 (D. 156); L. Delaporte, II, Acquisitions, ტაბ. 108,8 (A. 1253); A. A. Захаров, Геммы и античные перстни Гос. Исторического Музея, РАНИОН, в. 3, М., 1923, ტაბ. V, 15, 16, 17.

დაცულობა: პირი რამდენიმე ადგილას ამოტეხილია, ზურგი ადგილ-ადგილ ატკეცილია, ღრმად.

ზომა: სიმაღლე—15 მმ, პირის დიამ.—27 მმ.

85 (იხვ. № 636).

ინტალიო, მუქი ნარინჯისფერი სარდიონისა, ნახევრად გამჭვირვალე. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; როგორც ჩანს, შემოჭრილი და დაპატარავებულია, ამის გამო გამოხატულება ნაკლებია.

პირზე გამოხატულია ზეზე მდგომი აბრაქსას ღვთაება—იან. თავი ფრინველისა უნდა ჰქონდეს (ზედა ნაწილში ქვა წაჭრილია და ამიტომ ძნელი გასარკვევი ხდება); სხეული ღვთაებას ადამიანისა აქვს. ფეხები ტერფების ნაცვლად მარწუხებით უბოლოვდება.

²⁶ იხ. ა. ზახაროვი, იქვე, ტაბ. I, 5.

არსებას მარჯვენა ხელში გაურკვეველი საგანი უჭირავს. მარცხენა ხელი მსგავსი არსებისთვის უნდა ჰქონდეს ჩაკიდებული (ჩანს მხოლოდ ხელი და ფეხის მარწუხის ნაწილი). ამავე ხელით იაო მოკლე ჯონს ეყრდნობა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად, საკმაოდ ტლანქი ნახელავია. ქვა კარგად არის გაპრიალებული. ჩანს, ქვა დაუპატარავებიათ იმისათვის, რომ სათანადო ბუდისთვის მოერგოთ, შემდეგ იგი ხელმეორედაა პოლირებული.

მსგავსი შინაარსის გემები ე. წ. მაგიურ კრილა ქვებს შორის არის გავრცელებული, იხ. H. Carnegie, Catalogue of the antique gems, London, 1908, ტაბ. XIII, № 1, № 5.

დაცულობა: ინტალიო ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ზომა: სიგრძე—9 მმ, განი—7 მმ.

6. XVIII—XIX სს. ბემები

86 (იხვ. № 923). D.

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონისა. ინტალიო მრგვალია, ოდნავ ამობურცული პირი აქვს, ისეთივე ზურგი.

პირზე გამოხატულია ზევსის თავი, პროფილში მარჯვნივ; მაღალი თმის ვარცხნილობა აქვს. გრძელი თმა აკეცილი და კეფასთან ჩახვეულია. გრძელი ხვეული წვერი საფეთქელთან თმას უერთდება.

ღვთაებას შუბლზე კულულები ჩამოშლია, სწორი ცხვირი აქვს, მკვეთრად გამოხატული ნესტოებით, მაღალი ყვრიმალის ძვალი. წარბი ოდნავ შესამჩნევი რელიეფით არის გადმოცემული. თვალის ქუთუთოები ფაქიზი ღარებით არის შემოფარგლული. ზევსი წინ იყურება, თავს ვიწრო ბაბთა უმკობს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი საკმაოდ ღრმად. ფაქიზი და ზედმიწევნით სუფთა ნახელავია. ქვა გამოხატულებითურთ გაპრიალებულია.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: დიამ.—9 მმ.

87 (იხვ. № 897). D.

ინტალიო, მუქი ნარინჯისფერი სარდიონისა. ინტალიო მრგვალია, ამობურცული.

პირზე გამოხატულია ზევსის (?) თავი, პროფილში მარცხნივ. წვერიანია.

ზევსს მაღალი თმის ვარცხნილობა აქვს. ბლუჯებად დაყოფილი და ტალღებად დატეხილი თმა თავზე გვირგვინივით ადგია. კეფასა და საქოჩრეზე თმა არ არის აღნიშნული. ზევსს გრძელი თმა აქვს, კავებად დახვეული; ოთხი კავი ძირსაა ჩაშვებული. ღვთაებას ფართო შუბლს ნაწილობრივ თმა უფარავს. სწორი ცხვირი აქვს, წინ წამოწეული ენერგიული ნიკაპი. გაშლილი წვერი ბლუჯებად არის დაყოფილი. წვერი და თმა საფეთქელთან შეზრდილია. თვალის უბეები ფაქიზი ღარებით არის შემოფარგლული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი საკმაოდ ღრმად. ზედმიწევნით ფაქიზი და სუფთა ნახელავია. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული გამოხატულებითურთ.

დაცულობა: თვალი კარგად არის შენახული.

ზომა: დიამ.—10 მმ.

88 (იხვ. № 922). D.

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, მაღალი, ზურგისკენ ვიწროვდება, პირი ბრტყელი აქვს; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ლოდზე ჩამომჯდარი ეროტი, პროფილში მარცხნივ. თავდახრილია. წინ გაწვდილ მარცხენა ხელში გველი უჭირავს, მარჯვენა ხელი მუხლზე უდევს; მარცხენა ფეხით მიწას ებჯინება.

ეროტის წინ აპოლონის სამფეხი დგას, ზედ ცეცხლი უნდა ენთოს, ალი რამდენიმე მოკლე ხაზით არის აღნიშნული.

ეროტის სახე სუმარულად არის გადმოცემული, სახის ნაკვეთების ერთიმეორისაგან გამოყოფა შეუძლებელია. თმა ღვთაებას წინ

აქვს ჩამოვარცხნილი ისე, რომ შუბლს უფარავს. ნიადაგის ზოლი გრძელი, რელიეფური ხაზით არის გამოხატული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად; სუფთა და კარგი ნახელავია. ქვა ზედმიწევნით არის გაპრიალებული. გამოხატულება ოსტატს მქრქალად გაუპრიალებია.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—14 მმ, განი—10 მმ.

89 (ინვ. № 889). D.

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებულია.

პირზე გამოხატულია ახალგაზრდა მამაკაცის თავი, პროფილში მარჯვნივ. მამაკაცს მოკლედ შეჭრილი ხვეული თმა აქვს; რამდენიმე კულული ფართო შუბლზე ჩამოშლია. თვალი საკმაოდ ფართოდ აქვს გაღებული, წინ იყურება, წარბი ოდნავ შესამჩნევი რელიეფით არის გამოხატული. ლამაზი მოყვანილობის დაბალკეხიანი ცხვირი აქვს, მკვეთრად გამოხატული ნესტოებით. წინ წამოწეული ენერგიული ნიკაპი რბილი ხაზითაა შემოფარგლული. მამაკაცის კისერი ღრმა ნაოკებითაა დასერილი.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და ბრტყელი რელიეფით. სუფთა და ფაქიზი ნახელავია. პირი მქრქალად აქვს გაპრიალებული, გამოხატულება და ზურგი ელვარებს.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე—16 მმ, განი—14 მმ.

90 (ინვ. № 892). D.

ინტალიო, მოწითალო ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია ფრთაგაშლილი არწივი, პირდაპირ; თა-

